# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 26-27 ივლისი. 2021 წ. №163-164 (9282-9283) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის ხელდასხმულ ქართულ ჟურნალისტიკაში ამძუვნებული კატები აკნავლდნენ!









დავით ზარდიაშვილი:

## სამარცხვინოა ჟურნალისტის ქარტია, მას არავითარი კავშირი ეთიკასთან არა აქვს და ნამდვილმა ჟურნალისტებმა უნდა დაგმონ ის!

4

ნინო ახობაძე:

## ამ სიტყვების გამო თუ მიჩივლებს, მაშინ გვარამია და მე ერთ კამერაში უნდა ჩაგვსვან!...

5



## საყოველთაო ნათლობა სამებაში

**გუშინ** სამების საკათედრო ტაძარში საყოველთაო ნათლობა გაიმართა და დაახლოებით 1600-მდე ბავშვი მოინათლა. საყოველთაო ნათლობა 16 საათზე დაიწყო, 20 საათისთვის კი სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მიბრძანდა და ნათლულები დალოცა. საყოველთაო ნათლობა 63-ედ გაიმართა.

## ვაშა მარგველაშვილის მოოქროვილი ვერცხლი

10






## „ფალიაშვილი ოპერასა სწერსო“... როგორ შეიქმნა „აბესალომ და ეთერი“

7

ამერიკელი ხალხისა და ამერიკის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ნაჩუქარი 500 000 დოზა „ფაიზერით“ აცრის კამპანია დღეს იწყება!

ძვეჯანაში არის აგრეთვე ჩინური ვაქცინებისა და „ასტრა ზენეკას“ დიდი მარაგი!



## გთხოვთ, აიცრათ ყველამ!

ხელოვნების მიზანი უბრალოა — მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას სიმხნევე

კოტე მარჯანიშვილი



## ევგენი მიქელაძის ფენომენი

7



# 32 მილიარდი ლარი დაიხარჯება ინფრასტრუქტურისა და რეგიონების განვითარებაში...

**მომდევნო 10 წლის განმავლობაში დაახლოებით 32 მილიარდი ლარი დაიხარჯება ინფრასტრუქტურისა და რეგიონების განვითარებაში, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 10-წლიანი განვითარების გეგმის პრეზენტაციაზე განაცხადა.**

მთავრობის მეთაურის თქმით, 32 მილიარდი ლარი ინფრასტრუქტურას, გზებს, ხიდებს, წყალს მოხმარდება იმისთვის, რომ ყველა მუნიციპალიტეტში შეიცვალოს მთლიანი სურათი. პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს უნდა იყოს ევროპეიზაციის და მოდერნიზაციის გეგმა და დონორებს აქტიური დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

**„ჩვენი გეგმის მიხედვით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში დაახლოებით 32 მილიარდი ლარი დაიხარჯება ინფრასტრუქტურისა და რეგიონების განვითარებაში. მოგეხსენებათ, დღეს ძალიან ბევრი პროექტი ხორციელდება ქვეყანაში. ეს არის გზების, ხიდების მშენებლობა. ზოგადად, ჩვენ დავიწყეთ ყველა მუნიციპალიტეტში ურბანული განახლების პროექტები. 63-ვე მუნიციპალიტეტში დაიწყება ურბანული განახლების პროექტი, რაც გულისხმობს რეალურად ევროპული განვითარების, ევროპული სულისკვეთების შეტანას ყველა მუნიციპალიტეტში. ამას გარდა, მოგეხსენებათ, რომ გამოწვევები რჩება დღეს ჩვენს ქვეყანაში. თითქმის 3000-მდე სოფელს არა აქვს ხარისხიანი წყალი. გამოწვევად რჩება როგორც საქალაქთაშორისო, ისე შიდა გზების შენახვა-რეაბილიტაცია- აღდგენა, ასევე ცენტრალური მაგისტრალების მშენებლობის დასრულება. შესაბამისად, ჩვენი მთავარი პრიორიტეტი და მთავარი აქცენტი სწორედ რეგიონების განვითარებაზე და განახლებაზე იქნება მომდევნო წლების განმავლობაში. 32 მილიარდი ლარი მოხმარდება რეგიონების განვითარებას, ინფრასტრუქტურას, გზებს, ხიდებს, წყალს იმისთვის, რომ რეალურად ყველა მუნიციპალიტეტში შეიცვალოს მთლიანი სურათი, მთელი ქვეყნის მასშტაბით და რეალურად, ეს უნდა იყოს ევროპეიზაციის, განახლების, მოდერნიზაციის გეგმა. რა თქმა უნდა, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენს დონორებთან. მინდა, კიდევ ერთხელ ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა მათ აქტიური დახმარებისთვის“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

10-წლიანი განვითარების გეგმის შთამბეჭდავი პრეზენტაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ირაკლი ქარსელაძემ** გამართა. ღონისძიებას საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, სახელმწიფო რწმუნებულები, დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები დაესწრნენ.

# ბენ ჰოჯესი: საქართველოს მთავრობამ უფლება არ უნდა მისცეს რუსეთს, ჩაერიოს ანაკლიის მსგავსი პროექტების განხორციელებაში



**ამის შესახებ ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ძალების ყოფილმა მეთაურმა, გადამდგარმა გენერალმა ბენ ჰოჯესმა განაცხადა.**

მისი თქმით, კრემლი ძირს უთხრის ისეთ პროცესებს, როგორიცაა ანაკლიის პორტი, რადგან არ უნდა საქართველო გახდეს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი წერტილი.

**„რუსეთი არაფორმალურ ვეტოს იყენებს უკრაინისა და საქართველოს წინააღმდეგ, რომ ისინი დასავლეთისთვის მიუღებელი გახდნენ. როცა ეს ქვეყნები სტრატეგიულ სარგებელს ნახავენ საქართველოსგან მეტად გაამახვილებენ რუსეთის აგრესიაზე ყურადღებას და გააძლიერებენ წნეხს კრემლზე. ვფიქრობ, გაწევრიანება მაპის გარეშეც შესაძლებელია. მაშინ როცა რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს 20%, არ მგონია, რომ მათ ახლა ესკალაციის ინტერესი ჰქონდეთ, იმიტომ რომ მათ ისედაც მიიღეს, რაც სურდათ — სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიები. პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საქართველოს მთავრობამ და არ მისცენ უფლება რუსეთს, ჩაერიოს ანაკლიის მსგავსი პროექტების განხორციელებაში,“** — აცხადებს ბენ ჰოჯესი.

# სენაკიდან ორფოლოს პოლიგონისკენ...

**სენაკიდან ორფოლოს პოლიგონის მიმართულებით მრავალეროვნული სწავლებების ისტორიაში პირველად, საქართველოს თავდაცვის ძალების შეიარაღებაში არსებული „დელტას“ მიერ წარმოებული ქართული ჯავშანტექნიკა Agile Spirit 2021-ში ჩაერთვება.**

მრავალფუნქციური მოდულური „დიდგორი მეომარისა“ და სამედიცინო საევაკუაციო „დიდგორი მედევაკის“ ტიპის ჯავშანმანქანები სენაკიდან ორფოლოს პოლიგონის მიმართულებით საქართველოს დროშებითა და სწავლების საიუბილეო ლოგოთი მარშირებით გადაადგილდნენ. ქართული წარმოების ჯავშანტექნიკამ ნელი სვლით ქუთაისის ცენტრშიც ჩაიარა. კონვოის ესკორტირება სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაუწიეს.

„დელტას“ მიერ წარმოებული „დიდგორის“ ტიპის სამედიცინო და მრავალფუნქციური დანიშნულების ჯავშანმანქანები საქართველოს თავდაცვის ძალებს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრობის დროს გადაეცა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც თავდაცვის ძალები ადგილობრივი წარმოების ჯავშანმანქანებით აღიჭურვა. ჯავშანმანქანები თანამედროვე და მაღალი სტანდარტების მიხედვით არის აწყობილი.

სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანა „დიდგორი მედევაკი“ სამედიცინო დანიშნულების, უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების ზონიდან უსაფრთხო ტერიტორიაზე გადასაყვანად და ტრანსპორტირების დროს პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად არის დამზადებული. „დიდგორი“ კი, მრავალფუნქციური დაჯავშნული სამხედრო-სატრანსპორტო საშუალებაა, რომელიც ბრძოლის ველზე პირადი შემადგენლობის გადასაყვანად და სადაზვერვო ოპერაციების ჩასატარებლად არის განკუთვნილი.



# სიმართლე სინათლეა!

## ჟურნალისტი გიორგი იაკობაშვილი აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო შინაარსის პლაკატების უკან მათი ორგანიზაცია დგას



ონლაინგამოცემა FOR.GE-ს რედაქტორი და ორგანიზაციის „დავასრულოთ“ წევრი გიორგი იაკობაშვილი აცხადებს, რომ თბილისის ქუჩებში გაკრული „ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო შინაარსის პლაკატების უკან მათი ორგანიზაცია დგას.

**„ამ პლაკატებით, საზოგადოებასა და, პირველ რიგში, ხელისუფლებას, გვინდა, შევახსენოთ, რომ ეს ქვეყანა მოძალადეებისა და მკვლელების ვერასდროს ვერ იქნება. მოძალადეები და მკვლელები ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მოიკითხოს იმ ადამიანებისკენ, რომელთაც დღეს, რატომღაც, ოპოზიციას უწოდებენ. ეს არანაირი ოპოზიცია არ არის. ნოდარ მელაძეა ჟურნალისტი თუ „ალისტრახო“ იყო ჟურნალისტი?! მათ ჟურნალისტებად არ მივიჩნევ. ნიკა გვარამია როგორაა ჟურნალისტი, როცა გაქცეულ, ყოფილ პრეზიდენტს ტელეფონზე ესაუბრება და ერთად განიხილავენ, რა უნდა მოხდეს.**

**საზოგადოებაში არაჯანსაღი კლიმატის შექმნა, ტემპერატურის აწევა ხომ წლების განმავლობაში გრძელდება. ამ ქვეყანაში, „ნაციონალური მოძრაობა“ ასოცირდება ომებთან, მკვლელობებთან, რეკეტთან, ადამიანის უფლებების დარღვევასთან. მათი ხელისუფლებაში მოსვლა ყველაფერს ამას გაიმეორებს. მე და ჩემს თანამოაზრეებს სწორედ ამის თქმა გვინდოდა საზოგადოებისთვის“,** — აცხადებს გიორგი იაკობაშვილი.

იქამდე, მან Facebook-ზე სტატუსი დაწერა:

**„მედიაზონდერებო, აი, მართლა იმას რა ვუთხარი, ვინც თქვენ ჟურნალისტები გიწოდათ... ქუჩაში ტიტლიკანად სირბილი, მემორიალზე ცეკვა, იქვე მოსაქმება და ათასი სისაძაგლე გამოხატვის თავისუფლებაა, ხოლო საგნებისთვის თავისი სახელის დარქმევა — უკანონობა, ხომ?! ეგ პლაკატები სიძულვილის კი არა, სიმართლის პლაკატებია. სიმართლე კი, ყოველთვის კარგია, რადგან სიმართლე სინათლეა. არ მოგეწონათ, ხომ?! ვინც ნახა, ყველამ მხარი დაგვიჭირა, უკლებლივ ყველამ! ჩვენზე და ჩვენს ორგანიზაციაზე — „დავასრულოთ“ — რატომ არ მიიტანეთ ეჭვი? სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს, მეწყინა. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ნაცები დავასრულოთ და ეს მოხდება არჩევნების წინ, არჩევნების დროს და არჩევნების შემდეგ. იქნება ეს პლაკატების დაბეჭდვა, გაკვრა და საკუთარი სიმართლის დაცვა ყველგან და ყოველთვის. მაშ, თბილისისთვის 48 მილიონის მოპარვა შეიძლება, მკვლელებისთვის მკვლელების დაძახება კი, უკანონობაა? ხაზეიშვილს ებარებოდეთ და იმას კიდე... ალისტრახოს. მაგრამ იმასაც უნდა მოეთხოვოს პასუხი, ვინც თქვენ გაგაბლატავათ, თქვენ — მოძალადეები, მკვლელები, რეკეტიორები, ფლიდები, გაიძვერები, არამზადები... ბევრ ეპითეტს ჩამოვთვლიდი, ყველაზე საზიზღრებს, მაგრამ ერთიც საკმარისია, რადგან ყველას იტევს — „ნაცები“!!! აქვე ვიტყვი, რომ შარშან ლადო კახაძე პირადად შემპირდა, რომ ფრანგულ კანონს „ცილისწამების შესახებ“ გადმოაქართულებდა, მაგრამ მას შემდეგ კახაძეს ამ კანონის შესახებ არც სიტყვა დაუძრავს და არც სადღეგრძელო. ხოლო ჩვენ — ჩემი მეგობრები ნამდვილი კოლეგები, თანამოაზრეები და უბრალოდ, ყველა წესიერი ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, დემოკრატია, სოლიდარობა და ტრადიციული ევროპის ტრადიციული ღირებულებები, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხალხმა არ დაგივიწყოთ. მტერს სახეზე უნდა ვცნობდეთ. პლაკატები კი... პლაკატები ჟურნალია, კინოც მალე დაიწყება“,** — წერს გიორგი იაკობაშვილი.



* * *

**თბილისის მერიის ინფორმაციით, პირები, რომელთაც ქუჩებში თვითნებურად გააკრეს პლაკატები, დაჯარიმდებიან.**



# რუსეთს უნდა დაეხარჯა მილიონები ასეთ სპეცოპერაციაზე და ჩვენ კი, ჩვენით მივართვით ეს საჩუქარი!..

**დასავლეთი პერიოდულად დემოკრატიის ხარისხს უწუნებს ქართველ ხალხს, რამაც გააჩინა სპეკულაციები, ნუთუ ჩვენი პროდასავლური მისწრაფებების გამოცდა მაინცდამაინც „პრაიდზე“ გადის?! ნუთუ ამდენი ხნის სტრატეგიული პარტნიორი ვერ უნდა მიხვდეს, რომ ჩვენი ღირებულებები საუკუნეების განმავლობაში მყარად ჩამოყალიბდა და ამის შეცვლა თავსმოხვეული ღირებულებებით არც ისე მარტივია?!**

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** მიიჩნევს, რომ ჩვენი პროდასავლური მისწრაფებები „პრაიდზე“ არ გადის, უფრო მეტიც, ძალიან ბევრ ქვეყანაში იყო საპირისპირო გამოსვლები და გაცილებით მასშტაბურიც. საუბარია ევროპის წამყვან დემოკრატიებზე. თუმცა საქართველოში არსებული დაპირისპირება და ძალადობა პირდაპირი პროვოკაცია იყო იმ დღეს და, რა თქმა უნდა, ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა.

**„გამოხატვის თავისუფლება და სხვა ღირებულებები მათ ესმით ისე, როგორც ლაპარაკობენ. ჩვენს მოსახლეობაში კი არსებობს კონკრეტული ხედვა, აღქმები, ფუნდამენტურ ღირებულებებზე დაფუძნებული განწყობები. ამ განწყობებსა და ღირებულებებს პატივისცემა სჭირდება. შენი თავისუფლება ისე უნდა გამოხატო, რომ წითელი ნაჭრის ფრიალით შეგნებულად არ გააღიზიანო ხარი. მით უმეტეს, როცა შეგიძლია წითელი ნაჭრის გარეშე მშვიდად გაიარო და საერთოდ ვერ შეგამჩნიოს ვერავინ. ლგბტ პირებმა ოთხი დღის განმავლობაში ჩაატარეს სხვადასხვა ღონისძიება, ლისის ტბაზე არავის უხლია მათთვის ხელი და არავინ ასულა იქ, ანალოგიურად შეიძლებოდა 5 ივლისის ღონისძიების ჩატარებაც, მაგრამ იკითხებოდა, რომ ეს არ იყო თავად უმცირესობების სურვილი, დარწმუნებული ვარ, უმცირესობას ეს გამოწვევა და შეხლა-შემოხლა არც სურდა. გამონაკლისია უმცირესობების მცირე ნაწილი, რომელთა უკანაც იდგნენ პოლიტიკური ჯგუფები. მათ კარგად იცოდნენ, რომ გამოვიდოდა სხვა ხალხი, რომელიც ამას გააპროტესტებდა. სხვათა შორის, პროტესტის მონაწილეთა მცირე ნაწილი შეგნებულად მიდიოდა აგრესიულ ქმედებებზე, მეტი ნაწილი კი უბრალოდ პროტესტს გამოხატავდა და არც უფიქრია იმაზე, რა მოჰყვებოდა ამ ყველაფერს ქვეყნისთვის. დარწმუნებული ვარ, ახლა რომ უყურებენ იმ კადრებს, ალბათ, არ მოსწონთ ის ფორმა, როგორც გამოხატეს პროტესტი“,** — აცხადებს ამირან სალუქვაძე ჩვენთან საუბრისას.

ამასთან, განმარტავს, რომ არსებობს მცირე ჯგუფების განწყობა ჩვენს ქვეყანაში, რომელთაც უხარიათ დასავლეთთან და, განსაკუთრებით, ამერიკასთან ჩვენი ურთიერთობების გაფუჭება. ამირან სალუქვაძის აზრით, რასაც ყიჟინებს ოპოზიცია მუდმივად ხელისუფლების პრორუსულობასთან დაკავშირებით, ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. თუ ამას ვერ აცნობიერებს დასავლეთი, კარგად ყოფილა მათი საქმე.

**„ერთი მხრივ, მთელი დასავლეთი საუბრობს რუსეთის მხრიდან ჰიბრიდულ გამოწვევებზე, რბილ ძალაზე და, მეორე მხრივ, პირდაპირ ვუგორებთ კოჭს დასავლეთს. რაც გაკეთდა 5 ივლისს, რუსეთის ინტერესებში იყო. რუსეთს უნდა დაეხარჯა მილიონები ასეთ სპეცოპერაციაზე და ჩვენ კი ჩვენით მივართვით ეს საჩუქარი. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, ამ საქმეში რუსული ფულიცაა დახარჯული“,** — აღნიშნა ამირან სალუქვაძემ.

ანალიტიკოსი **სოსო მანჯავიძე** არ ეთანხმება შეფასებას, თითქოს ჩვენი პროდასავლური მისწრაფებები „პრაიდზე“ გადის. ანალიტიკოსი აცხადებს, რომ ასეთი შეფასებები დამახასიათებელია სომნამბულურ ცნობიერებაში მყოფი ადამიანებისთვის.

**„რომელ დასავლურ მისწრაფებებზეა საუბარი, როცა ეს არის ჩვეულებრივი კოლონიალური მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებით. სომნამბულურ მდგომარეობამდე ადამიანები მიიყვანა ტელეზომბირებამ, ნატოსა და ევროკავშირში მიღებაზე საუბრობენ და პატარა ბავშვმაც კი იცის, რომ ეს იგივეა, „დიდ საბჭოეთში“ რომელიღაც ხუთწლედში რომ უნდა მიგვეღწია „კომუნიზმისთვის“... ჩვენ უნდა შევხედოთ საქართველოს გეოგრაფიულ მოცემულობას, სამხრეთით არის თურქეთი და ირანი, ჩრდილოეთით რუსეთია და წინ გვაქვს ზღვა. ამ ქვეყნებს თავიანთი ინტერესები აქვთ. ამ მისწრაფებების გამო ვკარგავთ განვითარების საშუალებას, ჩვენს არსებობას ემუქრება საფრთხე, ეს მისწრაფებები შეიძლება გვქონდეს, მაგრამ ამან პრაგმატიზმი და საღი აზროვნების უნარი არ უნდა დაგვაკარგვინოს. ხელისუფლებაში მათ მიერ დასმული ხალხია, ვის დღის წესრიგშიც ასეთი თემებია. სხვანაირად ისინი არ იქნებოდნენ ხელისუფლებაში“,** — აღნიშნა სოსო მანჯავიძემ.

**მანანა ნოზაძე**

# კარგი გამოსავალია მზის სადგურების კაშხლიან ჰესებთან განთავსება



მომავლის ენერგეტიკა

**2050 წლისთვის სათბური გაზების ნულოვანი გაფრქვევის მიღწევა ევროკავშირის მწვანე შეთანხმების (Green Deal) მთავარი მიზანია, რასაც სხვა ქვეყნებიც უერთდებიან IEA-ს კვლევა აჩვენებს, რომ 2050 წლისთვის მსოფლიოს ნახშირბადნეიტრალურობის მიზნის მისაღწევად აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობის ენერგიული და კოორდინირებული მოქმედებები მრავალ სფეროში. იმისათვის, რომ 2050 წლამდე მიმავალი გზა მეტ-ნაკლებად რეალური იყოს, საჭიროა შუალედური, 2030 წლის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა. 2030 წლისთვის საჭირო იქნება ქარისა და მზის სადგურების სიმძლავრის გაოთხმაგება, 18-ჯერ მეტი ელექტრომანქანა და ენერგოინტენსიურობის ყოველწლიური 4%-ით კლება.**

სააგენტოს ოპტიმიზებულ სცენარში 2050 წლისთვის ენერგიის მიწოდების მეხუთედი მზის ენერგიისგან მიიღება. მზის სადგურების სიმძლავრე გაოცმაგდება, ხოლო ქარის სადგურების სიმძლავრე 11-ჯერ გაიზრდება; მოხმარებული ენერგიის 50% იქნება ელექტროენერგია — ანუ ელექტროენერგიის გამომუშავება 2.5-ჯერ გაიზრდება დღევანდელთან შედარებით. ელექტროენერგიის 90% წარმოებული იქნება განახლებადი ენერგიებიდან.

თუმცა, ძალიან ბევრი ექსპერტის აზრით, მზის ენერგია მიეკუთვნება ეგრეთ წოდებულ, ცვალებად ენერგიას და ისეთ ქვეყნებში, სადაც მზიანი დღეების რაოდენობა სეზონების მიხედვით განსხვავებულია, საჭიროებს უფრო სტაბილურ ენერგორესურსებს, რათა მოხდეს მათი უსაფრთხოდ ინტეგრირება სისტემაში. აღნიშნული, დაადასტურა ფატიჰ ბიროლმაც — IEA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია, საქართველოში მზის სადგურებმა ეფექტურად იმუშაონ დამოუკიდებლად, “ენერგონიუსი“ Helios Energy-ის დაფუძვნებელს **თორნიკე დარჯანიას** ესაუბრა:

**„აღნიშნული ისედაც ნათელია და მას კითხვის ნიშნის ქვეშ არც არავინ აყენებს. მზე, ქარი, ბიომასა და მათ შორის, ჰესებიც, რომელთაც არა აქვთ წყლის დაგროვების სისტემები, ანუ მუშაობენ მდინარის ჩამონადენზე, ითვლებიან არასტაბილურ გენერაციის წყაროდ, რომელთაც ახასიათებს რყევები და მათთვის საჭიროა მარეგულირებელი. მარეგულირებლის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს კაშხლიანმა ჰიდროელექტროსადგურმა, თბოელექტროსადგურმა, ატომურმა ელექტროსადგურმა, ან სულაც აკუმულატორიანმა სისტემამ — ანუ ყველაფერმა, რასაც შეუძლია დეფიციტის აღმოფხვრა ქსელში. ხაზს ვუსვამ, აქ პრობლემა, რა თქმა უნდა, დეფიციტია და არა სიჭარბე, რადგან სიჭარბის შემთხვევაში, რეგულირება ადვილია, მაგალითად, გერმანიაში სადგურებს თიშავენ. უბრალოდ, დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, კონკრეტულად ჰესების გამოყენებაზე იმიტომ მიდის საუბარი საქართველოში, რომ ატომური სადგური ჩვენ არ გვაქვს, თბოსადგურები კი გვაქვს, მაგრამ მათი ფუნქციონირებისთვის იმპორტირებული საწვავის გამოყენებაა საჭირო, ამიტომ რჩება ჰიდროელექტროსადგური. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამაზე არავინ არ დაობს“,** — აცხადებს ენერგეტიკოსი.

დარჯანიას სიტყვებით, პრობლემა სხვა რამეშია, რომელზეც, რატომღაც არ საუბრობენ: დღეს უკვე არსებული კაშხლოვანი ჰიდროელექტროსადგურების შესაძლებლობების გათვალისწინებით, მზის ენერგიის რა სიმძლავრის ათვისებაც შეგვიძლია, იმას რატომ არ ვითვისებთ? ესაა, მისი აზრით, აქ მთავარი კითხვა, რომელსაც არავინ სვამს, რადგან, აღნიშნული დაბადებს თანმდევ კითხვებს — რა უშლის ხსენებულს ხელს, რატომ არის აქცენტი კონკრეტულად ჰესების (გნებავთ კაშხლიანი და გნებავთ ჩამონადენზე მომუშავე) აშენებაზე გაკეთებული და რატომ არ ვუწყობთ ხელს განახლებადი ენერგიების სხვა დარგების განვითარებას?

**„არ ვგულისხმობ მხოლოდ მზეს, აღნიშნული ეხება ქარს და თუნდაც ბიომასას. მაგალითად, გერმანია ტერავატობით სიმძლავრეებს აწარმოებს ნაგვისგან. ჩვენთან რატომ არ ხდება ხელშეწყობა მსგავსი პროექტების? გვაქვს გეოთერმული რესურსები დასავლეთ საქართველოში. ენერგეტიკა მხოლოდ ელექტროენერგიის წარმოება არაა. ხსენებული რესურსი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ცხელი წყალი, რომელიც ბუნებრივადაა გამთბარი და აღარ საჭიროებს დამატებით ხარჯებს, გაზსადენის გაყვანასა და მისი გაცხელებისთვის, იმპორტირებული ბუნებრივი აირის დაწვას“,** — აღნიშნავს ის.

ენერგეტიკოსს სწორედ ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხების არქონა მიაჩნია მთავარ პრობლემად. მისი აზრით, ისეთი დეფიციტური ბაზრისთვის, როგორიც საქართველოა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა არსებული რესურსის მაქსიმალურად ათვისება, იქნება ეს მზე, ქარი, თუ სხვა. კითხვაზე, თუ რამდენად შესაძლებელია საქართველოში ტექნოლოგიური მიღწევებისა და სიახლეების წარმატებით გამოყნება მზის სადგურების არასტაბილურობის შემცირებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დარჯანია პასუხობს, რომ შესაძლებელია, თუმცა, მსგავსი ტექნოლოგიები ცოტა ძვირია. **„კარგი გამოსავალია მზის სადგურების კაშხლიან ჰესებთან განთავსება და ცვალებადობის ასეთი სახით დაბალანსება“,** — ამატებს ის.

ENERGYNEWS.GE

# ენგურმა შესართავთან ნაპირსამაგრი გაანგრია...

**შტორმმა და წყალდიდობის შედეგად ადიდებულმა მდინარე ენგურმა პრობლემები შექმნა ანაკლიაში, ენგურის შესართავთან. მდინარემ არსებული ნაპირსამაგრი გაანგრია.**

ადგილზე მობილიზებული იყო სპეციალური ტექნიკა და სამუშაო ანაკლიაში დილიდან განახლდა. მიმდინარეობს დროებითი ნაპირსამაგრი სამუშაო, რათა მდინარემ სანაპირო ზოლზე პრობლემები არ შექმნას. არსებულ ვითარებას ადგილზე ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია და მერის მოვალეობის შემსრულებელი კონსტანტინე კაკავა გაეცნენ და განსახორციელებელი სამუშაო ადგილზე დაგეგმეს.

# ზუგდიდელების აღიარება და პატივგება!

**ზუგდიდში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ზუგდიდის საპატიო მოქალაქის და საპატიო ზუგდიდელის წოდების ნომინანტების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.**

საპატიო ზუგდიდელის წოდება ბონდო ჯიქიას, თენგიზ შანავას, ციალა პაჭკორიას, მადონა ხარებავას, დეკანოზ ფრიდონ ასათიანს და კლიმენტ კიკალიშვილს მიენიჭათ. ზუგდიდის საპატიო მოქალაქის წოდება კი მიმოზა ცანავას, მართა ანნა გავინეკ-დაგარგულიას, ოთარ გაბელიას, თენგიზ ცერცვაძეს, ნოდარ ჭითანავას და ალექსანდრე ნაჭყებიას მიენიჭათ. ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია მოადგილეებთან ერთად დაესწრო. დაჯილდოების ცერემონია კორონავირუსის გავრცელების პრევენციისათვის არსებული რეგულაციების დაცვით ჩატარდა. ღონისძიებაში ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრის კვინტეტი და პიანისტი ნიკა ნიკვაშვილი, ეკა მამალაძე, ნუკრი კაპანაძე, ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ და მომღერალი ნანა ჩიქავა მონაწილეობდნენ.



# დავით ზარდიაშვილი: სამარცხვინოა ჟურნალისტის ქარტია, მას არავითარი კავშირი ეთიკასთან არა აქვს და ნამდვილმა ჟურნალისტებმა უნდა დაგმონ ის!



**ბატონო დავით, მივარდნები სახელმწიფო უწყებებთან, პრემიერთან, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან, დეპუტატებთან; ჯგუფურად შეკრებილი ჟურნალისტების ეს ჯგუფი კითხვის დასმის საშუალებას არ აძლევენ კოლეგებს, არ აინტერესებთ პასუხი არც მათ მიერ დასმულ კითხვაზე – „რატომ არ არიან დაკავებული მოძალადეები“? ეს მაშინ, როდესაც ყოველდღიურად ვაკვირდებით დაკავებების სერიას. რასაც ახლა ვუყურებთ, ეს ჟურნალისტიკის ახალი სახეობაა, თუ რა შეიძლება ამას ეწოდოს?**

– ამას ჟურნალისტიკასთან საერთო არაფერი აქვს. საუბრის დასაწყისში თქვენ თვითონაც შესანიშნავად აღნიშნეთ, რომ რეალურად, ყველა ხედავს, რაც არის. ეს არის გარკვეული აგრესიული „სამოქალაქო აქტივი“, რომელთაც ცხადი პოლიტიკური მიზნები აქვთ.

**– რა არის მათი პოლიტიკური მიზანი?**

– დესტაბილიზაცია, სახელმწიფო გადატრიალების განხორციელება და საბოლოო ჯამში ხელისუფლების დამხობა, რასაც მერე რევოლუციას დაარქმევენ. რა თქმა უნდა, ხალხს ვერ აიყოლიებენ, მაგრამ ეს განკუთვნილია გარე მაყურებლისთვის, ძირითადად დასავლელი მეთვალყურეებისთვის და იმ ადამიანებისთვის, ვისაც სურს საქართველოში დასავლური ღირებულებების კულტივაცია. ისინი ხედავენ, რომ ეს კასტა, რომელიც თავის თავს ჟურნალისტს უწოდებს, დაპირისპირებულია ხელისუფლებასთან. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში დასავლეთის სიმპათიები არის „ჟურნალისტიკის“ მხარეს და ცხადია, ეს გამოყენებულია პოლიტიკური დაპირისპირების იარაღად ამ პოლიტიკური ექსტრემისტების მიერ.

**– პოლიტიკურ ექსტრემისტებში ვის გულისხმობთ?**

– ცხადია, ნაცებს ვგულისხმობ. ყველაფერზე მიდიან იმისათვის, რომ დასავლეთის მხარდაჭერა მოიპოვონ და ამ გზით, ანუ გადატრიალების იმედად შეცვალონ ხელისუფლება.

**– პარტიების პოლიტიკური დღის წესრიგი გასაგებია, მაგრამ წარმოუდგენელია ჟურნალისტმა დამოუკიდებლად განსაზღვროს ასეთი სარედაქციო პოლიტიკა...**

– მაგრამ ისინი ხომ ჟურნალისტები არ არიან?

**– რასაკვირველია, ეს არ არის ჟურნალისტიკა, მაგრამ ამას გრიგოლია, სანაია, მიშველაძე, გვარამია, მელაძე და სხვანი განსაზღვრავენ, თუ ის ერთი ადამიანი, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობაზე თქვა უარი – მიხეილ სააკაშვილი? 2003 წელს არ იყო ასეთი აგრესიული სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის მიერ მართული „რუსთავი-2“, ეს კიდევ ახალია და ბევრად აგრესიული...**

– გეთანხმებით. 2003 წლის მოვლენებს მხოლოდ გარეგნულად ჰგავს. მაშინ იმ მოძრაობას გარკვეული სამოქალაქო მხარდაჭერა ნამდვილად ჰქონდა, იმდენად იყო ყელში ამოსული შევარდნაძის კორუმპირებული რეჟიმი, რომ მან მხარდაჭერა მოიპოვა. ვერ ვიტყოდი, რომ იმ მასშტაბის მხარდაჭერა მოიპოვა, როგორც ეს გააფორმეს, რომ თითქოს ეს იყო საერთო სახალხო რევოლუცია, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა. რა თქმა უნდა, დღეს ასე არ არის, სერიოზული სოციალური ფენა მათ მხარს არ უჭერს. ესენი არიან ადამიანების საკმაოდ ვიწრო ჯგუფი, რომლებიც შეპყრობილნი გახლავთ ჟინით, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ხელისუფლება უნდა შეცვალონ. არჩევნებით ეს არ გამოსდით! გამოდის მხოლოდ გადატრიალების გზით, რომელიც გაფორმდება როგორც სახალხო მღელვარება.

**– ოპოზიციამ ქართველი საზოგადოების მხარდაჭერა ვერ მიიღო და ეს კარგად გამოჩნდა. როგორ ფიქრობთ, ჟურნალისტების ეს წივილ–კივილი მიიღებს საგარეო მხარდაჭერას?**

– სამწუხაროდ იღებს. ისინი ცდილობენ, რომ მიიპყრონ დასავლეთის მხარდაჭერა და ამას აკეთებენ. ვნახეთ სენატორის განცხადებაც!..

**– განცხადება, რომელიც არ ასახავდა რეალობას...**

– არა, რეალობებზე არ იყო აგებული, განწყობებზეა აგებული. როგორც ეს გვარამიამ თქვა – მართავენ არა ფაქტები, არამედ აღქმები. ისინი ქმნიან აღქმას, რომ საქართველოში არის დაპირისპირება.

**– თუნდაც ამ ნაწილში, სად ჩანს საგარეო საქმეთა სამინისტროს და დიპლომატიური კორპუსის მუშაობა?**

– მუშაობა მიდის რამდენადაც შესაძლებელია, მაგრამ სურათი იქმნება, გამუდმებით გადაიცემა ეს დაპირისპირება, მისი ტირაჟირება ხდება.

**– გასაგებია, მაგრამ პოლიტიკური პარტია, რომელსაც არ აქვს მხარდაჭერა, წარმატებით ახერხებს ტყუილის ტირაჟირებას, ხოლო ხელისუფლება, რომელსაც გაცილებით მეტი ბერკეტი აქვს და რაც მთავარია, ჰყავს მხარდამჭერები, რატომ ვერ ახერხებს დასავლეთს რეალური სურათი დაანახოს?**

– ისინი ქმნიან ხმაურს. ვთქვათ, რომ თქვენ არ ხართ საქართველოში და პროცესებს უყურებთ გარედან, ანუ ტელევიზიით და უყურებთ ყველაზე აქტიურად, რაც შუქდება. ასეთ შემთხვევაში თქვენ გახდებით იმ სურათის მოწმე, რომ საქართველოში არის მღელვარება. ანუ, ამის გამომწვევი მიზეზი არის ხმაური და იქმნება ყალბი აღქმა. ამიტომ გარედან ჩანს, რომ ხმაური ობიექტურია, რაღაცა საფუძვლები ამას აქვს და ყურადღებას იპყრობს. სხვა არაფერი არ ჩანს, ძირითადი თემა არის ორი საკითხი – ლაშქარავას და მოსამართლეების საქმე. ლაშქარავას ამბავმა გადაფარა ყველაფერი.

**– ლაშქარავას საქმე ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ექსპერტი ალეკო გეჯაძე პირდაპირ ამბობს, რომ მიღებული დაზიანება არ გახდებოდა გარდაცვალების მიზეზი...**

– ყველამ იცის, რაც მოხდა, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რა იყო გარდაცვალების მიზეზი, მთავარი არის ის აღქმა, რაც ამათ შექმნეს. პირდაპირ ცდილობენ, ეს საქმე მიაწერონ ხელისუფლებას, რომ ეს იყო ხელისუფლების მიერ ორგანიზებული დანაშაული, მკვლელობა. დაახლოებით იმ მასშტაბის და კიდევ უარესი, რაც სანდრო გირგვლიანი იყო. ამის გაკეთება უნდათ ხმაურით.

**„დესტაბილიზაცია, სახელმწიფო გადატრიალების განხორციელება და საბოლოო ჯამში ხელისუფლების დამხობა“, – ანალიტიკოს დავით ზარდიაშვილის შეფასებით, ეს არის აგრესიული პოლიტიკური ჯგუფის მიზანი, რომელიც განკუთვნილია დასავლეთისთვის და კერძოდ, იმ ადამიანებისთვის, რომელთაც სურთ საქართველოში დასავლური ღირებულებების კულტივაცია.**



**– რამდენად შეძლებენ ამას?**

– საბოლოო ჯამში, ამას ვერ შეძლებენ, მაგრამ ნახეთ, რა ხდება. როდესაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გრძელდება და ეს გრძელდება 2019 წლის 20–21 ივნისის ამბებიდან მოყოლებული, ისინი უკვე გადავიდნენ ე.წ. რევოლუციის ორგანიზების აქტიურ ფაზაზე, რაც პარლამენტის შტურმით დაიწყო და დღემდე გრძელდება. ახლა ჟურნალისტები ჩართეს, როგორც სამოქალაქო აქტივისტების იმიტაცია. ისინი არ წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოებას, მოსახლეობის ფართო ფენების სურვილებს არ გამოხატავენ, მაგრამ ქმნიან ამ სურათს. იმიტომ, რომ მათ ხელშია პროპაგანდის საშუალებები. ამ სურათით ცდილობენ, დიდი ხნის განმავლობაში გააგრძელონ ვითომცდა ამ პროტესტის გამოხატვა, რაც გარედან იპყრობს ყურადღებას.

ამავე დროს, ხელისუფლება ხალხში ავტორიტეტს კარგავს. იმიტომ, რომ არ შეუძლია ამისი შეჩერება. მოგივარდებიან, რასაც უნდათ გაკადრებენ, პარლამენტში დებოშს ატეხენ და მერე აქეთ დაგდებენ ბრალს ძალადობაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ხალხის თვალში თავის ძალმოსილებას კარგავს. ყველა დასვამს კითხვას – ეს რა ხელისუფლებაა, ამათი გაჩერებაც კი არ შეუძლია? ეს კითხვები ჩნდება და თქვენ კარგად თქვით, რომ მოსახლეობაში ნიჰილიზმი ითესება, საყოველთაო უნდობლობა ითესება. ერთი მხრივ ამას აკეთებენ, მეორე მხრივ დასავლეთის ყურადღებას იპყრობენ. ვისაც არ ეზარება, ყველა ხელისუფლებას აკრიტიკებს გარეთ, თუ შიგნით. ეს, რასაკვირველია, წამგებიანი მდგომარეობაა. ხელისუფლებამ აქტიური პოლიტიკა უნდა გაატაროს და პირველ რიგში, უნდა ეცადოს, შექმნას ნამდვილი დღის წესრიგი და ეს უნდა იყოს მაკონსოლიდირებელი. ხალხისთვის საინტერესო სხვა რამე უნდა იყოს და არა ის, რასაც ახლა ტელევიზორში აჩვენებენ.

**– რასაც ვაკვირდებით, ეს ძალიან გავს ე.წ. ალისტრახოების მოქმედების სტილს, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2012 წელს შექმნა. მაშინაც, მიკროფონით ხელში დარბოდნენ და სამიზნე იყო მაშინდელი ოპოზიცია. სამწუხაროდ, დღეს, ე.წ. ალისტრახოები სახელმწიფო უწყებებში არიან დასაქმებული პიარის კუთხით...**

– კარგი მაგალითი გაიხსენეთ, რა თქმა უნდა, ანალოგია, მაგრამ სახელმწიფო უწყებებში მუშაობენ თუ არა, არ ვიცი. ეს ე.წ. ჟურნალისტები, რომლებმაც თითქოსდა „სამოქალაქო აქტივისტების“ როლი მოირგეს, ქმნიან ისეთ სურათს, რომ ხელისუფლებას კონფლიქტი აქვს საკუთარ მოსახლეობასთან და ეს ვერ მოუგვარებია. ეს ნამდვილად არის პრობლემა. მოკლევადიან პერსპექტივაში არაფერი არ არის, არავითარ საშიშროებას არ შექმნის, მაგრამ თუ დიდხანს გაგრძელდა და არ გაჩერდა, რასაკვირველია, საფრთხის შემცველია – ხელისუფლების დისკრედიტირება მოხდება. თავის ძალმოსილებას და ნდობას დაკარგავს, უბრალოდ, გაკოტრდება. ამ პროცესების დიდი ხნის განმავლობაში განვითარება წარმოუდგენელია, ამას წერტილი უნდა დაესვას. ხელისუფლება, რომელიც ამას ვერ აჩერებს, ადრე თუ გვიან, პასუხი მოეთხოვება. ამიტომ, ეს უნდა გააჩერონ.

**– უნდა გააჩერონ, მაგრამ როგორ?**

– რასაკვირველია, ძალადობით, სიტყვის თავისუფლების ჩახშობით, გამოხატვის თავისუფლებაზე თავდასხმით არა, მაგრამ უდავოა, რომ საჭიროა გარკვეული რეგულაციები. ამაზე შეთანხმებულია ყველა, რომ ასეთი სუპერ ლიბერალური და გამოხატვის თავისუფლება არ არსებობს. მას კანონის გათვალისწინებით გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა უნდა. ხელისუფლებამ უნდა შექმნას პოზიტიური დღის წესრიგი, არ დაუპირისპირდეს ამ ხმაურს და გადაფაროს თავისი რეალური საქმეებით. ის უნდა იყოს საინტერესო მოსახლეობისთვის... რასაც ხელისუფლება დღეს აკეთებს, სწორედ ამის მცდელობაა...

**– ისევ საბოტაჟთან ხომ არ მივდივართ?**

– ეს არის პროცესი, რომელიც უკვე გაშვებულია, ეს ტიპური ექსტრემიზმია.

**– რაც სამართლებრივად დასჯადია...**

– რასაკვირველია, დასჯადია. კვალიფიციური ხელისუფლება გამოიძიებს და ბოლომდე მიიყვანს 5–6 ივლისის მოვლენებს. პოლიტიკური განცხადებების დონეზე კი არ უნდა გვითხრან, რომ ეს დაპირისპირება იყო პროვოცირებული, არამედ ეს უნდა დადასტურდეს რეალური ფაქტებით, გამოძიებით და საპროცესო მოქმედებებით. ეს მართლაც იყო კარგად ორგანიზებული, რაც მიზნად ისახავდა სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირირებას. იგივე, ეს პრაიდის ღონისძიება, ე.წ. ღირსების მარშის დროს, ჟურნალისტებში, რომლებიც იქ გააგზავნეს, ბევრი იყო პირდაპირი პროვოკატორი. ისინი მუშაობდნენ იმაზე, რომ როგორმე გაჩაღებულიყო კონფლიქტი. პირდაპირ ეკითხებოდნენ სასულიერო პირებს – „თქვენ პუტინის აგენტი ხართ?“ ამან გამოიწვია აგრესია ხალხში. დიახ, მათ მიერ იყო პროვოცირებული ეს პროცესები. ამიტომ გამოძიება უნდა მივიდეს ბოლომდე.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში გამოიკვეთება ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც პროვოკაციისთვის იყო იქ მისული. ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ პრაიდის ნაცვლად ჟურნალისტები მივიდოდნენ რუსთაველზე და ისინი მოაწყობდნენ ამ პროვოკაციას. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ პროვოკაცია მათი ორგანიზებულია. ამიტომ ეს უნდა გაარკვიოს გამოძიებამ.

**– პროფესია ჟურნალისტი უკვე აგრესიას აჩენს საზოგადოებაში, ეს რამდენად არის პრობლემა?**

– სამწუხაროდ, უკვე ჟურნალისტის პროფესია დისკრედიტირებულია და ეს ნამდვილად სერიოზული პრობლემაა. იმიტომ, რომ ჟურნალისტიკის დაცემა, რასაც თვალყურს ვადევნებთ, რა თქმა უნდა, მადისკრედიტირებელია, შემარცხვენელია და სამარცხვინოს ხდის ამ პროფესიას. ხალხს დანახვა არ უნდა ამ ე.წ. ჟურნალისტების და ეს ვრცელდება არა მარტო ამ ვიწრო წრეზე, არამედ მთლიანად და ეს არის ძალიან ცუდი.

ნამდვილი ჟურნალისტები უნდა გაემიჯნონ და თქვან, რომ ესენი ჟურნალისტები არ არიან! სამარცხვინოა ის ჟურნალისტიკის ქარტია! სამარცხვინოა მათი ქცევა! ჟურნალისტების უდიდესი ნაწილი უნდა გამოვიდეს და თქვას, რომ ეს არის ცრუ ქარტია! ეს არ არის ჟურნალისტების პროფესიული გაერთიანება და არავითარი კავშირი ეთიკასთან არა აქვს! ეს ვიღაცამ უნდა თქვას ხმამაღლა. ნამდვილმა ჟურნალისტებმა უნდა დაგმონ ის, რაც ხდება.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

# ზნედაცემული ჟურნალისტების გასაგონად!



## ნინო ახობაძე: ამ სიტყვების გამო თუ მიჩივლებს, მაშინ გვარამია და მე ერთ კამერაში უნდა ჩაგვსვან!..





**თურმე როგორ გაბედა წულუკიანმა და როგორ გაეხუმრა ემააა გოგოხიააააას...**

**ყველაფერს აქვს საზღვარი! გვეყო რაც ვეფერეთ! – ყოფილი სამხედრო ექიმი, ნინო ახობაძე საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს სოციალურ ქსელში ეხმიანება:**

„მე ხო, როგორც ლონდრე ჯარს რომ ჩამორჩება, ყველაფერს გვიან ვიგებ..

ჰოდა, ახლა ვნახე ვიდეო, წულუკიან-გოგოხიას დუელი.

„ოცნებას“ რომ დავშორდი და გავებუტე, როგორც ძველ შეყვარებულს, ეგეც ხომ იცით უკვე...

მააააგრამ!

რადგან მაინც აპოლიტიკური ადამიანი ვარ და არასოდეს არავისზე მცვივა დორბლი,

ამიტომ როცა რაღაც მომეწონება ან ააააარ მომეწონება, ძალიან თავისუფლად დავწერ!

კაცი ვერ დამიქნევს თითს, არავინ დგას ჩემი ბჟუტურის ზემოთ.

მოკლედ, ის რაზედაც ადრე (მაგ. 2012-ში, ან 2013-ში) აღვშფოთდებოდი და ვიტყოდი:

– მოდი, ჩვენ ნუ დავემსგავსებით ნაცებს;

– მოდი, ჩვენ დავრჩეთ ადამიანებად;

– მოდი, არ მოვიქცეთ ისე, როგორც იქცეოდნენ ისინი;

და რადგან არასოდეს არ შედიოდა ჩემს ხასიათში – სამაგიეროს გადახდა, ნიშნის მოგება, ზემოდან ყურება...

ამიტომ აი ასე მარტივად-დავრჩი იმავე ადამიანად და გულწრფელად გამიხარდა როცა საახალწლო კონცერტზე დაუძახეს მიშას ფავორიტ მომღერლებსაც.

ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი;

ეს იყო არაგოიმური საქციელი, ეს იყო ის, რასაც ვნატრობდით წინა ცხრა წელი!

* * *

**მერე** მიჰყვა და მიჰყვა...

დატოვეს თანამდებობებზე ნაცები, კი ბატონო!

აბა, ნაცებივით გარეთ ხომ არ გაყრიდნენ ამ ხალხს?

დიდად არ მომწონებია ეს, მაგრამ რადგან არ ჰგავდა წინამორბედის საქციელს, მაინც კმაყოფილი დავრჩი...

მერე მიეცა გონორი მედიას!

ისეთი გონორი, როგორიც მიშას დროსაც არ ჰქონდათ!

და იმ არჩევნებში დამარცხებული პარტიის მოკუნტული წევრებიც ნელ-ნელა წამოგვასხდნენ თავებზე...

დაიწყო და რა დაიწყო! – მედიატერორი!

ეკრანიდან: გინება, ფურთხება, შეურაცხყოფა...

მახსოვს ღობეზე გადამძვრალი ემა გოგოხია!

მახსოვს გაბუნია, რომელიც პუტინს ენას უყოფდა და...

ისიც კარგად მახსოვს, რომ აგვისტოს ომში გაბუნია არ დაჭრილა, არც მომკვდარა. უბრალო ჯარისკაცი ჩაწვა მიწაში!

და ეს ლაჩარი მონა რომ ხუილოს ეძახდა, იმის ჯარისკაცის ტყვიით მოკვდა რამდენი ჩვენიანი...

მახსოვს ის ბიჭები – სანაიამ რომ დააჭერინა!

მახსოვს მიტინგები, მიტინგებზე უშვერი სიტყვებით ნალანძღი ადამიანები;

მახსოვს, შვილმკვდარი მამა, რომელიც გამოიყენეს;

მახსოვს, ერთხელ კალაძემ ვიღაცაზე თქვა: „მთაწმინდიდან გამოექანონო“ და...

ამაზე აღშფოთებული ნაცებიც მახსოვს, არანაცებიც!

მკვდარი ძმა წამოაძახეს, გაჩუმდა!

და ერთხელაც ველარ გაჩუმდა!

თურმე ქალაქის მერს არ ეკადრება ასეთ ტონალობაში საუბარი!

თურმე ქალაქის მერი რობოტი უნდა იყოს და რომ დააკუკებენ, მეორე ლოყაც უნდა მიუშვიროს ყველა ჯერზე! თურმე თმენის ვალდებულება აქვს!

თინა ბოკუჩავას რომ ხელი მოჰკიდეს და შეაჩერეს, ეს გახდა მთავარი თემა ქვეყნისთვის!

როგორ გაუბედეს თურმე! თინას უფლება დარღვეულა!

ნიკა მელია გამოაშვებინეს – ნაცია და აბა როგორ შეიძლება არ ეპატიოს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა??

ვაზაგაშვილი შვილის საფლავს დააკლეს და თურმე ნარკობარონი ყოფილა – ამაზე არც ერთის წკმუტუნი არ გამიგია მაშინ და დღეს თავზე გვამხობენ – როგორ თუ ლექსო ლაშქარავას წმინდა სახელს ვბღალაავთ?! რატომ ვახსენებთ თურმე ნარკოტიკს! ლაშქარავა ცემით მომკვდარა და ვაზაგაშვილს ალბათ ფეხი დაუცდა საფლავზე და წაიქცა!

ჰოდა რატო დავეცი ეხლა ქადაგად?

აღარ ვფიქრობ ისე, როგორც ვფიქრობდი 2012-ში და 2013-ში!

დამიმთავრდა მიმტევებლობა და სირბილე!

გადასარევად მოექცა წულუკიანი იმ ემაა თუ ვიღაცა შაშა-კოლას!

* * *

**ხშირად** ასეა ცხოვრებაშიც: ვისაც უთმენ, უტარებ, ზრდილობიანად ექცევი, არ დადიხარ მის დონემდე...

აი რატომღაც მერე ეს ღორის ტილები თვლიან, რომ მართლები არიან!

რომ ეკუთვნით ეს შენი თმენის ვალდებულება!

ჰოდა, აი აივსო რაა ეს მოთმინების ფიალაც და მეც კი, რომელსაც არასოდეს არავისთვის, თუნდაც აქ, ამ სივრცეში – გინებით და ფურთხით არ მიპასუხია, მეც კი გამითავდა მოთმინება, მერაა, ოდესმე ვთქვიი რო ანგელოზი ვაარ?

დაბოლოს:

საშინლად კმაყოფილი დავრჩები, აწი მთავრობის ყველა წევრი თუ ანალოგიურად მოექცევა ამ ზნედაცემულ, გათავხედებულ კასტას – ჟურნალისტები რომ დაირქვეს!

აი ის ნაბიჭვარი შემახვედრა ნეტა სადმე, გია ვოლსკის რომ მისდევდა და ამუნათებდა!

ნეტა სადმე გადავეყარო! არ ვბაქიბუქობ!

ზუსტად ისე მოვექცევი, როგორც ეგენი იქცევიან – პირში ჩავთხრი რაიმეს, რადგან მე მიკროფონი არ მაქვს!

ნეტა მოეწონებაა? არა მგონია.

ვაიმეეე თურმე როგორ გაბედა წულუკიანმა და როგორ გაეხუმრა ემააა გოგოხიააააას...

ყველაფერს აქვს საზღვარი!

გვეყო, რაც ვეფერეთ!

ჩემზე მშვიდობიანი ადამიანი არ მეგულებოდა და აჰაა...

პრიეხალი!

მაიცა აბა როგორ?

გვარამიამ ნაბიჭვრები გვეძახოს და ჩვენ აქედან ყვავილები ვესროლოოთ?

არავის მოვუწოდებ ძალადობისკენ (როგორ შემაჯავრეს ეს სიტყვა)...

როგორც მოგვექცევიან, ისე მოვექცეთ.

წულუკიანი არ წაართმევდა მიკროფონს... თუნდაც ნიკა წულუკიძეს. ასე მგონია მე.

(ღმერთო, სადამდე მიმიყვანე, რო თეა წულუკიანის ადვოკატიც გავხდი!.. ამ ერთ პოსტში!)

დავასრულებ ქართული თავისუფალი სიტყვის მამინაცვლის ნიკა გვარამიას სიტყვებით და „ემა გოგოხია ნაბიჭვარს უარესიც ეკუთვნოდა“!

* * *

**ამ** სიტყვების გამო თუ მიჩივლებს, მაშინ გვარამია და მე ერთ კამერაში უნდა ჩაგვსვან, წესით!

და ევროკავშირი რო გადმორეკავს, ერთად უნდა გამოგვიშვან! დედა რა იყო ეს, ააა, ერთ ვიდეოს ვუყურე და დასაბმელი ვარ“!..

## მიკროფონიანი პროვოკატორი

### ვირო მადლიო...

**თუ რომელიმეზე შეიძლება ითქვას, ამ გაძვალტყავებულ ქვეყანაში წელგამართული ორგანიზაციააო, მათ შორის უპირველესთაგანი ტელეკომპანია „მთავარი არხია“, რომელსაც, წინამორბედ „რუსთავი-2“-ის ზეობის ეპოქიდან მოყოლებული, მაშინდელი დანაშაულებრივი რეჟიმის ნებაყოფლობით თუ იძულების წესით მეხოტბე ბიზნესმენ-ნოტარიუსთა ძალისხმევით დაფინანსება არ მოჰკლებია და შემოსავალთა სიმცირეს არც „ქართული ოცნების“ მმართველობისას უჩივის.**

ბუნებრივია, როცა კოლეგათა კეთილდღეობაზე ვსაუბრობთ, არც მათ მომავალზე ზრუნვა უნდა დაგვავიწყდეს, საამისოდ კი პროფესიული მენეჯმენტითა და სარეკლამო თანხების მოზიდვის უნარით გამორჩეული კერძო სექტორის ღირსეული წარმომადგენლის მესვეურებს ერთ რჩევას შევკადრებ, რაც კომერციულ ენაზე უფასო პოლიტიკურ რეკლამად შეიძლება შეფასდეს – პიარაქციის მნიშვნელობა ხომ მათ კარგად მოეხსენებათ.

საუბარია იმ მიკროფონის შესახებ, რომელიც „მთავარის“ ლოგოთია დამშვენებული და ამჟამად კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის, ვიცე-პრემიერ **თეა წულუკიანის** დროებით მფლობელობაში იმყოფება.

პირად საკუთრებას რომ მოფრთხილება სჭირდება, ბავშვობიდანვე გვასწავლიდნენ, მაგრამ სტაჟიანმა ნაცზონდერჟურნალისტმა **ემა გოგოხიამ** ცხვარივით გაფლანგა მშობლიური სტრუქტურის სამსახურებრივი ქონება და, სპორტულ ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, აქეთ გადავიდა შეტევაზე (რა თქმა უნდა, გვარამიას, ადვოკატების, არასამთავრობოთა, ქარტიებისა და მისი მშობელი პარტიის წევრთა თუ იდეურ თანამებრძოლთა პირით) – მთავრობის წევრმა ჩემზე იძალადა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელი შემიშალაო, თითქოს, თუ სურვილი ექნებოდა, მეორე მიკროფონს ვერ იშოვიდა.

რასაკვირველია, არავის წარმოსცდენია, რომ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის განახლებულ შენობაში ახალი სეზონის გახსნისას მომხდარ კომიკურ ეპიზოდში „ჩაგრული ქართული მედიის“ ვეტერანს ზრდილობამ უმტყუნა, კითხვის დასასმელად უტიფრად მიეჭრა გვერდით მჯდომ ერთ-ერთ დამსწრესთან დიალოგში ჩართულ „მოძალადეს“ და ლამის პირში ჩასჩარა მიკროფონი, ხოლო მისი ექსპროპრიაციის შემდეგ პროფილი ცინიკურ-ირონიულმა ღიმილმა გაულამაზა – ხომ წამოგაგე პროვოკაციაზეო.

კი, ბატონო, მაღალჩინოსანთათვის არსებობს თმენის ვალდებულება, რაც ყველამ უნდა დაიცვას, მაგრამ ადამიანი ხომ რკინა არ არის და ემოციებს ყოველთვის ვერ მოთოკავს, მით უმეტეს დახვეწილ ინტრიგანთან ურთიერთობისას.

ზემოთ ქალბატონი ემასთვის ტყუილად არ გვიწოდებია სტაჟიანი ნაცზონდერჟურნალისტი, რადგან, დარწმუნებულნი ვართ, საზოგადოებას კარგად (უფრო სწორად – ცუდად) ახსოვს მის მიერ მეცოცხეთა საამებლად მომზადებული მთელი რიგი სიუჟეტები, სათავეს ჯერ კიდევ ენგურის ხიდზე ავტობუსის გახმაურებული აფეთქების ფაქტიდან რომ იღებს, მოგვიანებით კი საარჩევნო, მეუფე პეტრე ცაავასთან დაკავშირებული თუ ოკუპირებული ტერიტორიიდან სიგარეტის კონტრაბანდული მიმოქცევის საკითხების ნაცურად გაშუქებაში გამოიხატება – ყველას რა ჩამოთვლის.

წერილის დასაწყისში არც ძვირფასი მიკროფონის დროებითი მფლობელი წამოგვცდენია შემთხვევით. დიახ, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, სიტყვის ქალი მოცემულ პირობას შეგისრულებთ და 3 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საკულტო 43 პროცენტის როგორმე მოგროვებისთანავე, მას დაგიბრუნებთ, მანამდე კი გამოიყენეთ შანსი და ლეგალური შემოსავლებით გაისქელეთ ჯიბეები – ვიცე-პრემიერი ხომ ყველა ტელეკომპანიას არ ანებივრებს მსგავსი უფასო პოლიტიკური რეკლამით, აუდიტორიისთვის „მთავარის“ ლოგოიანი მიკროფონით მიმართვა რომ ჰქვია.

**რაც შეეხება ზოგად სურათს, სანაცეთს საკრიახოს რა გამოულევს – 20 ივნისიო, მაჩალიკაშვილის, შაქარაშვილისა თუ ბაჩალიაშვილის საქმეებიო, „ნამახვანჰესის“ პრობლემაო, 5-6 ივლისიო, საპარლამენტო ცირკი...**

**მოკლედ, კლოუნადა გრძელდება.**

**გია პლატონიშვილი**



# ვახტანგ მაისაია: ეს რომ ელენე ხოშტარიას ამერიკაში ჩაედინა, არც ერთ პოლიციელს არ მოჰკითხავდნენ პასუხს თავის უმკაცრეს ქმედებაზე!

**პროცესები, რაც 5-6 ივლისს, თბილისში განვითარდა, კიდევ ერთი ხელჩასაჭიდი აღმოჩნდა „ნაციონალური მოძრაობისთვის“. გაერთიანებიული ოპოზიცია, ერთ ხმაში ამტკიცებს, რომ ხელისუფლებამ, ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობა მიზანმიმართულად მოაწყო და ტრადიციულად, აქვე რუსული სპეცსამსახურების კვალსაც ხედავს. ის, რაც მოხდა, რა თქმა უნდა, გამართლება არა აქვს და ის ბრალდება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაბამისი ძალა არ გამოიყენა ჟურნალისტების დასაცავად, ამაში, რა თქმა უნდა, არის ლოგიკა. თუმცა, რომ არა ხელისუფლების ეს გადაცდომა, დღეს, ოპოზიცია ისევ ახალი პროვოკაციული იდეების ძიებაში იქნებოდა. ამ ბაკქჰანალიაში მთავარ კითხვად რჩება, ვის ინტერესებში შედიოდა და ემუქრება თუ არა ქვეყნის მიერ აღებულ ევროპულ კურსს საფრთხე? იკვეთება თუ არა უცხო სპეცსამსახურების კვალი ამ მოვლენებში? ექსპერტი ვახტანგ მაისაია ამბობს, რომ ამის თქმა რთულია კონკრეტული დოკუმენტური მტკიცებულების გარეშე.**

— ხელაღებით ვერ ვიტყვი, რომ აქ არის სპეცსამსახურების კვალი, რადგანაც ამის დადგენას სჭირდება საკმაოდ სერიოზული დოკუმენტური მტკიცებულებები. შეიძლება ვერსიების დონეზე ლაპარაკი, მაგრამ ეს არ იქნება სწორი. შემიძლია კონკრეტული მაგალითები მოვიყვანო, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, განვაცხადე, რომ არსებობდა სერიოზული საფრთხე, რაც აბსოლუტურად სწორი აღმოჩნდა და ქვეყანა გადარჩა საკმაოდ სერიოზულ არეულობას. ასევე, 2016 წელს ვთქვი, რომ ქვეყანას საფრთხე ემუქრებოდა და მაშინ, ნეოტროცკისტულმა მედიამ დამაბრალა, რომ მე, თურმე ხელს ვუშლი ჩემი განცხადებებით ქვეყნის ევროინტეგრაციას, რადგანაც ჩემს განცხადებას ევროპარლამენტარებმაც მიაქციეს ყურადღება. მედიამ დაარღვია ქარტიის ელემენტარული წესები, მე არ მომცეს საშუალება, გამომეხატა ჩემი პოზიცია, მაგრამ აღმოჩნდა ისე, რომ მე ვიყავი მართალი. აქედან გამომდინარე, მე ვერ ვიტყვი, რომელი ქვეყნის სპეცსამსახურები მუშაობენ, რადგანაც ეს საკმაოდ სერიოზული განცხადება იქნება. სამწუხაროდ, ჩვენ ახლა აფრიკანიზაციის დონეს გავდივართ, მაგრამ ეს უნდა ითქვას. მოშლილია სახელმწიფო სტრუქტურები, არის კორუფცია, ნეპოტიზმი, არსებობს უსუსტესი სახელმწიფო მართვის სისტემა, ასეთი რამ საქართველოში არასდროს ყოფილა. როცა პოლიციელებს სალებავებს ასხამენ, აგინებენ და შეურაცხყოფას აყენებენ, პოლიციელები კი ამ დროს ასეთი უსუსურები არიან. ამ დროს არსებობს „კანონი პოლიციის შესახებ“ და ეს ქმედება, რასაც ეს აგრესიული ჯგუფები მათ მიმართ ახორციელებენ, ეს პირდაპირ არის პოლიციელებზე თავდასხმა. კანონით, მკაცრად უნდა გაუსწორდნენ არა მარტო ულტრანაცისტებს, არამედ ე.წ. მემარცხენე აგრესიულ ექსტრემისტებს. ბუნებრივია, ელჯიპიტების თემის წამოწევა ეს იყო დაგეგმილი, ამიტომ აქ უკვე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პრეროგატივაა, ჩაერთოს და დაიწყოს გამოძიება. თუ დადგინდა რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურის კვალი, მაშინ აქ უნდა ჩაერთოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი და შესამამისად იმოქმედონ.

როგორც მე ვაკვირდები 5-6 ივლისის მოვლენებში სუსი არ იყო აქტიურად ჩართული და მე მაინტერესებს, რატომ არ იწყებს გამოკვლევას, რადგანაც ეს იყო სახელმწიფოს მიმართ პოლიტიკური ექსტრემიზმი. ასევე, პარლამენტში უნდა შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომელიც გამოიძიებს იმ დღეების მოვლენებს. და იქ შეიძლება ბევრი რამე გამოიკვეთოს.

**— პარლამენტში რომელმა კომისიამ, ან ვინ უნდა გამოიძიოს?**

— სამწუხაროდ, როგორც მმართველ ძალას ჰყავს არაკომპეტენტური პარლამენტი, ასევე ოპოზიციის მხრიდანაც არაკომპეტენტური პარლამენტარები არიან. კორუფციას რომ თავი დავანებოთ, ყველაზე დიდი პრობლემაა არაპროფესიონალიზმი, რამაც წალეკა მთელი ქვეყანა და ეს არის ჩვენთვის მთავარი რისკი. არის სამი დონე, რისკი, მუქარა და საფრთხე.

**რისკი** არის, რაც მიმდინარეობს ლატენტურად და რეალურ საფრთხეს უქმნის სახელმწიფო მიმართულებას. მაგალითად, ამ შემთხვევაში რისკი არის კორუფცია, არაპროფესიონალიზმი და ექსპრემიზმი. **მუქარა** — ეს უკვე არის ჩვენი ეროვნული ინტერესების შებღალვისკენ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ ჩვენი სპეცსამსახურები იმდენად არის გამოფიტული, რომ ნამდვილი ჯაშუშიც რომ დაიჭირონ, იმასაც კი ვერ დაედება, ალბათ, საფუძვლიანი ეჭვი. სააკაშვილის დროს ყოველ მეორეს ჯაშუშად რაცხავდნენ პოლიტიკური რეპრესიებისთვის, რამაც გამოფიტა სახელმწიფოებრივი მიმართულება. მითხარით, ბოლო დროს რომელი რეალური ჯაშუში დაიჭირეს?

**— მთავარი ბრალდება არის ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია და ამ პროვოკაციის აღსაკვეთად არ იმოქმედა შესაბამისად, ანუ არ დაიცვა აქციის მონაწილეები, ჟურნალისტები, და მართლაც, ასეთი მასობრივი თავდასხმა ჟურნალისტებზე მე პირადად არ მახსოვს. ამაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს სახელმწიფომ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პერმანენტულ სახეს მიიღებს, რაც ძალიან ცუდია.**

— მე შემთხვევით არ მიხსენებია ტერმინი — ორგანიზებულობა. აქ უკვე წამოვიდა ულტრანაცისტური დაჯგუფებები, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი კარგად ორგანიზებული იატაკქვეშა დაჯგუფებები, გააჩნიათ დაფინანსება. ეს პროპაგანდისტული ტელევიზიები როგორც იქცევიან, ყველას კარგად მოგვეხსენება.

**— გეთანხმებით, რომ ამან წარმოშვა ჟურნალისტების მიმართ აგრესია, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს ძალადობას, იქ იყვნენ სახელისუფლებო მედიის წარმომადგენლები, რომლებიც ანალოგიურად დაზარალდნენ, ანუ პირდაპირი აგრესია იყო მედიაზე და არა კონკრეტულად ერთი რომელიმე ტელევიზიის წარმომადგენლებზე, რომელიც ვიღაცებს არ მოსწონთ..**

— არა აქვს მნიშვნელობა, პროპაგანდისტია თუ თავისუფალი მედიის წარმომადგენელი, მას გააჩნია სტატუსი, ჰყავს თავისი აუდიტორია და მუშაობს ინფორმაციის მოძიებასა და გავრცელებაზე, რომელიც შენ ან მოგწონს, ან არა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰყავს თავისი სპეციალიზირებული სტრუქტურა, რომელსაც უნდა ემუშავა პრევენციაზე, დაგეგმვაზე, შედეგების აღმოფხვრასა და ლოკალიზებაზე. ეს ყველაფერი ერთიანი კომპლექსია. ბოლოს და ბოლოს, როდესაც საუბარია პოლიტიკურ ექსტრემიზმზე, ეს უკვე გადადის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პრეროგატივაში.

**— ხომ არ არის იმისი საფრთხე, რომ ეს პროცესები მიმართულია ქვეყნის პოლიტიკური ვექტორის შეცვლისკენ?**

— როდესაც დაწვეს ევროკავშირის დროშა, ეს უკვე არის სერიოზული სიგნალი. ეს იყო ბარბაროსული ქმედება, რომელიც უნდა დასჯილიყო. უკვე ჩნდება ამ მიმართულებით კითხვები, აქ სხვა სპეცსამსახურები არა, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური ძალები შეიძლება ყოფილიყვნენ ამ პროცესების მმართველები.

**— აქ მარტო ევროკავშირის დროშაზე არ უნდა იყოს საუბარი, აქ პრობლემაა კიდევ სახელმწიფო უწყებების შეურაცხყოფასა და უპატივცემულობაზე. როდესაც შენ სალებავს ასხამ შენობას, ეს ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს და აქ პრობლემა არის დაუსჯელობის სინდრომი, რომელმაც წარმოშვა ასეთი არაადეკვატური, დანაშაულებრივი ქმედებები.**

— სწორედ აქედან დავიწყე. სწორედ მაგას ვგულისხმობდი, როდესაც ვილაპარაკე პოლიციელის შეურაცხყოფაზე. ეს რომ ელენე ხოშტარიას ამერიკაში ჩაედინა, არც ერთ პოლიციელს არ მოჰკითხავდნენ პასუხს თავის უმკაცრეს ქმედებაზე. ეს არის თავდასხმა, რაზეც პოლიციელს კანონი აძლევს მოქმედების უფლებას.

**— რა არის შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი?**

ეს ძალიან რთული კითხვაა. პირველ რიგში, საჭიროა პროფესიონალიზმის აღდგენა, ეს უნდა გახდეს ქვეყნისთვის მთავარი პრიორიტეტი.

ამ ყველაფრის აღდგენა სწორედ პროფესიონალ კადრებს შეუძლია.

**შორენა გონგლაძე**

# ვინ გადაიბარა არშემდგარი გეი-აღლუმი?

**რუსთაველზე მოპროტესტო ე.წ. „ოპოზიციური მედია,“ რომლის უკანაც ძალიან აშკარად მოსჩანს „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტების ცხვირიც და ყურებიც, საზოგადოებას ეუბნება, რომ 5 ივლისის მოვლენებზე უნდა დაისვას მხოლოდ ერთადერთი კითხვა — როდის გადადგება ირაკლი ღარიბაშვილი? სხვა დანარჩენი, მათ შორის გარდაცვლილი ოპერატორის სიკვდილის მიზეზი არაა საინტერესო. ხოლო თუ ვინმეს „მაგრამ“, „თუმცა“ ან მსგავსი წამოსცდა, პირდაპირ სამარცხვინო ბოძზე აკრავენ, ფსიქოლოგიურად ატერორებენ, მოდური ტერმინი რომ ვიხმაროთ „აბულინგებენ,“ და ა.შ.**

5 ივლისის მოვლენებზე პასუხგაუცემელი უხერხული კითხვები საკმაოდ ბევრია. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძალადობრივი კონფლიქტი ცარიელ ადგილზე არ წარმოიშვება და მას ყოველთვის აქვს გამომწვევი მიზეზები და წყაროები, მათ შორის ადამიანური ფაქტორი. ემოციურად ნაკლებად გაწონასწორებული ადამიანი მარტივად შეიძლება გამოიწვიო კონფლიქტზე თუნდაც ერთი მაპროვოცირებელი წინადადებით.

რატომ განახორციელეს კონტრაქციის მონაწილეებმა ძალადობა ჟურნალისტებზე, როდესაც მათი სამიზნე სულ ლგბტ ჯგუფები იყვნენ? რატომ არ წავიდა კომპრომისზე „თბილისი პრაიდი?“ რატომ გადაწყვიტეს, ჩაეტარებინათ საკუთარი „ღირსების მარში“ მაინცდამაინც რუსთაველზე, სადაც გარანტირებული ჰქონდათ მძაფრი პროტესტი და წინააღმდეგობა? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, ჯერ პასუხი უნდა გავცეთ კითხვას, თუ ვინ ისარგებლა ყველაზე მეტად 5-6 ივლისის მოვლენებიდან? ვინ მიიღო აქედან პოლიტიკური დივიდენდები, მათ შორის საერთაშორისო არენაზე? რა თქმა უნდა, იმ 15-მა ოპოზიციურმა პარტიამ, რომლებიც შესანიშნავად აცნობიერებდნენ, თუ რა მოხდებოდა, მაგრამ მაინც საჯაროდ და წერილობით მხარი დაუჭირეს „თბილისი პრაიდს“.

საინტერესოა ისიც, რომ არც 5-6 ივლისს, არც შემდგომ




დღეებშიც, აღნიშნული პარტიები ხმამაღლა და აქტიურად არ საუბრობენ LGBTQ უფლებების დაცვაზე, იქიდან გამომდინარე, რომ ქართველ საზოგადოებაში მათ მიმართ სიმპათიების ღიად გამოხატვა პოლიტიკური პარტიისათვის თუ პოლიტიკოსისათვის ელექტორატის დაკარგვის ტოლფასია.

**ეს ის ოპოზიციური პარტიებია, რომლებიც 5 ივლისს გაყურსული ელოდებოდნენ მოვლენების განვითარებას და მას შემდეგ, რაც პროცესები ძალადობრივად განვითარდა, ხმაშეწყობილად დაიწყეს კამპანია საქართველოს „პროევროპული გზიდან გადახვევის“ ლოზუნგებით და ტრადიციულად ხელისუფლების პრორუსულობაში დადანაშაულება. მათი მომსახურე ტელეარხების და მათ ფეხის ხმას აყოლილი ვითომ „ნეიტრალური“ მედიის მეშვეობით, დაიწყეს „ხელისუფლების მხრიდან მედიაზე დაგეგმილი ანგარიშსწორების“ ვერსიის კულტივირება, პოლიტიკური მოთხოვნებით გაჯერებული მიტინგები და „პერფორმანსები.“**

ახლა კი დავსვათ მთავარი კითხვა — ვის აძლევს ეს ხელს? როგორი კუთხითაც არ უნდა მივუდგეთ, „თბილისი პრაიდმა“ ამ დავიდარაბიდან თუ რამე მიიღო, სავარაუდოდ, მხოლოდ მეტი დაფინანსება მათი დონორებისგან. ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ არ შეიცვლებოდა და შეიძლება გაუარესდა კიდეც, ყოველივე მომხდარის შემდეგ. „თბილისი პრაიდი“ რომ არ გაჯიუტებულიყო და ხელისუფლების წინადადება მიეღო, „5 ივლისის ამბები“ ნამდვილად არ მოხდებოდა. თუმცა აქვე ჩნდება კითხვა — რამ განაპირობა მათი სიჯიუტე? დაზუსტებით თქმა რთულია, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კიდევ ვიღაცის ინტერესებში შედიოდა ის, რაც მოხდა. ხოლო, ვინ შეიძლება იყოს ეს „ვიღაც“, შეიძლება მიხვდე იმით, თუ ვინ იყენებს ასე ინტენსიურად საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის 5 ივლისის მოვლენებს. ეს არის ერთგვარი კონგლომერატი, რომელიც აერთიანებს „ნაცმოძრაობასა“ და მის განაყოფებს, სატელიტ პარტიებს, მათ მოკავშირე არასამთავრობო ორგანიზაციებს, კონტროლირებად ტელეარხებს თავიანთი ცნობადი ზონდერ-ჟურნალისტებით და, რა თქმა უნდა, დაკარგული პრივილეგიების დაბრუნების მსურველ ე.წ. „კონტრელიტების“ წარმომადგენლებს. სწორედ ამ კონგლომერატის ძალისხმევით მოწყობილი აქციებით ცდილობენ ქვეყანაში ახალი რევოლუციური სიტუაციის აგორებას, მით უმეტეს, რომ კიევში მყოფი სააკაშვილისგან უკვე მიიღეს ხელისუფლებაზე „მიწოლის“ საბრძოლო დავალება.

**არშემდგარი გეი-აღლუმი, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობამ“ და ოპოზიციამ გადაიბარა და ახლა ხელებდაკაპიწებული ცდილობენ აქედან რაღაც მათთვის სასარგებლოს გამოდნობას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მანიპულაციური მეთოდები აშკარად მოუძველდათ და უკვე თავად მათი მომხრეების ნაწილშიც კი მიუღებლობას იწვევენ.**



**ზაალ ანჯაფარიძე**


Wikipedia Commons

# „ფალიაშვილი ოპერასა სწერსო“... როგორ შეიქმნა „აბესალომ და ეთერი“


რევაზ ტაკიძე რეპეტიციაზე

**2021 წლის 16 აგვისტოს კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 150 წელი შესრულდება. 23 ივლისს დაიხურა ოპერის თეატრის სეზონი. ბოლო კონცერტი ზაქარია ფალიაშვილის იუბილეს მიეძღვნა.**

**„ოპერის წერა მე დავიწყე 1912 წელს. ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ გამიგონია უკმაყოფილება, რომ ფალიაშვილი ოპერასა სწერსო და მის გამოქვეყნებას კი აქამდე არა ეშველა რაო! და ეს ერთნაირ ეჭვსაც ბადებდა საზოგადოებაში, მაგრამ საზოგადოებამ სრულიად არ იცოდა ის არა ნორმალური პირობები, რომელშიც მე მომიხდა ამ ვრცელი ოპერის წერა“ .**

ამას ზაქარია ფალიაშვილი თავის ჩანაწერებში ჰყვება. არანორმალურ პირობებში კი იგულისხმება ის, რომ „აბესალომ და ეთერზე“ წერის პარალელურად კვირაში 40-45 საათი პედაგოგად მუშაობდა. ამას თან დაერთო მისი ერთადერთი შვილის, ირაკლის, გარდაცვალება, რის გამოც ზაქარია ორი წელი საერთოდ აღარ გაჰკარებია ოპერას.

**„ირაკლი 10 წლის იყო, როცა დაიღუპა. ერთი ვერსიით, აგარაკზე ყოფნისას ხელზე მორი დაეცა და ორგანიზმში ინფექცია შეიჭრა. ეს გახდა გარდაცვალების მიზეზი. ერთი წყარო ამბობს, რომ ზაქარიამ ოპერაზე მუშაობა მხოლოდ მას შემდეგ განაგრძო, რაც შვილმა სიზმარში სთხოვა ოპერის წერა გაეგრძელებინა. კიდევ ერთი ვერსიით, მასზე ივანე ჯავახიშვილმა მოახდინა გავლენა“,** — ამბობს მუსიკათმცოდნე **მაია სიგუა.**

„აბესალომ და ეთერის“ წერას 10-11 წელი დასჭირდა და საბოლოოდ 1919 წლის 21 თებერვალს დაიდგა. დირიჟორი თავად ზაქარია ფალიაშვილი იყო. წარმოდგენა 6 საათს გაგრძელდა და არნახული ტრიუმფი ერგო. „აბესალომ და ეთერი“ ქართულ სცენაზე შესრულებული რიგით მესამე ოპერა იყო. წინ მას უსწრებდა რევაზ გოგნიაშვილის „ქრისტინე“ და დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, თუმცა მაინც ითვლება, რომ ქართული კლასიკური ოპერის ისტორია სწორედ 21 თებერვალს დაიწყო და არა მანამდე.

**„თავიდან თბილისში მხოლოდ იტალიური ოპერები იდგმებოდა. ხალხმა ისე შეიყვარა ოპერა, რომ ბუნებრივად გაჩნდა ქართული ოპერის მოთხოვნილებაც. „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ დადგმისთანავე უაღრესად პოპულარული გახდა და დღემდე ხალხის საყვარელი ოპერებია. არ მოძველდა. როდესაც ნაწარმოები ხალხისთვის გასაგებ ენაზეა დაწერილი და მისი გულიდან არის გამოსული, არასდროს მოძველდება. ეს ოპერა ხალხის წიაღიდან წამოვიდა და მასვე დაუბრუნდა“,** — ამბობს დირიჟორი **რევაზ ტაკიძე.**

## სახლი ნიჭიერი ბავშვებით

**ზაქარია ფალიაშვილი** ქუთაისში **დაიბადა. მას ათზე მეტი დედმამიშვილი ჰყავდა და აქედან ოთხი მუსიკას გაჰყვა.**

ზაქარია საკუთარ სახლს ამგვარად აღწერს: **„ჩემი მშობლები არც ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტზე არ უკრავდნენ და არც რამე მუსიკალური ინსტრუმენტი მოგვეპოვებოდა სახლში“.** მიუხედავად ამისა, ზაქარიასაც და მის და-ძმებსაც კარგი სმენა აღმოაჩნდათ. მიზეზი შეიძლება კათოლიკური ეკლესია და ორღანი გამხდარიყო. ფალიაშვილები კათოლიკეები იყვნენ და ბავშვებიც პატარაობიდანვე ეკლესიაში გალობდნენ. გალობდა ზაქარიაც, როგორც თავად წერს, მას წკრიალა სოპრანო 18 წლამდე შერჩა. სწორედ კათოლიკურ ეკლესიაში გატარებული წლების ზეგავლენით გახდა მისთვის ახლობელი ევროპული მუსიკა, რომელსაც შემდეგ უკვე თავად მოარგო ქართული ფოლკლორი. ასე მიიღო საზოგადოებამ, ზოგადად, კლასიკური ქართული მუსიკა და შემდეგ სამი უკვდავი ოპერაც.


„აბესალომ და ეთერი“

## მემუსიკე ფალიაშვილი

წერილებიდან ჩანს, რომ ზაქარია საკუთარ თავს მხოლოდ მემუსიკეს უწოდებდა და არა კომპოზიტორს, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ზაქარია ფალიაშვილი იყო ადამიანი, რომელმაც ქართული კლასიკური მუსიკა შექმნა, მუსიკა, რომელიც მანამდე არ არსებობდა. მან ქართული ფოლკლორი და ევროპა ერთმანეთს დაუკავშირა, ქართული ევროპულ ყაიდას მოარგო და — პირიქით. ეს იმ დროს, როცა არათუ ევროპული მუსიკის საქართველოში შემოტანა არ იყო ადვილი, ქართული ფოლკლორიც დავიწყებას ეძლეოდა. ფალიაშვილმა კახეთიდან სვანეთამდე სოფელ-სოფელ იარა, რომ ხალხური სიმღერები მოეგროვებინა და ფონოგრაფზე ჩაეწერა. საბოლოოდ, 300-ზე მეტი ფოლკორული ნაწარმოები შეკრიბა.

**„წერდა, კახეთში რომ მივდივარ, „ჩაკრულოს“ პატრონი ხალხი გიტარა პესნებსა და „ნიკო, ნიკო, რაზბორნიკოს“ მღერისო. ძალიან აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ ხალხური სიმღერები გარმოშკას ჰქონდა ჩანაცვლებული“,** — ამბობს **მაია სიგუა.**

**„რაც შეეხება პროგრამას ჩემს შემდეგის მუშაობისას, ვფიქრობ, რომ თუ ძალა შემწევს და არაფერი დაბრკოლება არ გადამეღობა წინ, შევუდგე წერას ახალი საშუალო ზომის ქართული ოპერისას. მასალა ამისთვის დიდი მომეპოვება, რამდენიმე სიუჟეტი ქართული ცხოვრებისა უკვე დასახული მაქვს. ლიბრეტოს შედგენასაც ბევრნი დამპირდნენ“,** — წერდა ზაქარია ფალიაშვილი.

მეორე ოპერა, „დაისი“, 1923 წელს დაიდგა, კიდევ 5 წლის მერე შედგა „ლატავრას“ პრემიერაც.1932 წელს ზაქარია ფალიაშვილი ღვიძლის კიბოთი გახდა ავად. ამის შემდეგ მხოლოდ ერთი წელი იცოცხლა. ზაქარია ფალიაშვილი მისივე სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბაღში დაკრძალეს 1933 წელს.

**თეა თოფურია,**
**„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.**

# ევგენი მიქელაძის ფენომენი



**ნიჭიერება შეიძლება მსხმოიარე ხეს შევადაროთ. ვიდრე უნაყოფოა, მას არავინ აქცევს ყურადღებას, როგორც კი მოისხავს, მაშინვე შეესევიან ხოლმე. ნიჭიერი კაციც ასეა, მსხმოიარე ხეს ჩამოჰგავს, რომელიც ხშირად შურისა და მტრობის სამიზნე ხდება.**

ქართულ სინამდვილეში ღვაწლმოსილი მამულიშვილების პოვნა ნამდვილად არ გაჭირდება, ჩვენი ისტორია უამრავ მათგანს იცნობს. თუმცა მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც თავიანთი გამორჩეული უნარჩვევებით და შესაძლებლობებით, განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრეს ქართველი ხალხის მეხსიერებაში. არ შეიძლება უდიდესი სინანული არ დაგეუფლოს, როცა საქართველოს ბედუკუღმართი ისტორიიდან გამომდინარე, 1937 წლის სასტიკი რეპრესიების დროს, ამ ქვეყნიდან ნაადრევად წავიდნენ ქვეყნის საამაყო ადამიანები: სანდრო ახმეტელი, მიხეილ ჯავახიშვილი, პეტრე ოცხელი, ტიციან ტაბიძე და უამრავი სხვა... მათ რიცხვს ეკუთვნის განუმეორებელი — ევგენი (ჟენია) მიქელაძე.

**„ხელოვნების სიდიადე ყველაზე ნათლად მუსიკაში ვლინდებაო“,** — ამბობს გოეთე. სწორედ კულტურის ამ მიმართულებას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე ევგენი მიქელაძემ. იგი 1903 წლის 27 ივნისს დაიბადა ქალაქ ბაქოში. დაამთავრა რეალური სასწავლებელი, შემდეგ კი კადეტთა სკოლა. ფიზიკურად ძლიერი, ძალიან მოქნილი და ელასტიური იყო. თვითმხილველთა გადმოცემით, ერთგვარი ინტერესისა და თავისი ფიზიკური შესაძლებლობების ჩვენების მიზნით, თბილისის ოპერის თეატრის მეორე სართული სარკმლის შვერილზე თავდაყირა დადგა რამდენიმე წუთის განმავლობაში, რამაც მნახველთა დიდი გაკვირვება გამოიწვია...

მუსიკისადმი ლტოლვა ბავშვობიდანვე ჰქონდა. უკრავდა საყვირზე (ვალტორნა). საათობით მეცადინეობა შეეძლო, რაც მის მყარ ნებისყოფაზე მეტყველებდა. ევგენიმ ჯერ ლენინგრადის მუსიკალური ტექნიკუმი (ჩასაბერ ინსტრუმენტთა კლასი), ხოლო შემდეგ კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკულტეტი დაამთავრა. 1931 წელს კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, იგი მიიწვიეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორად. 1934 წელს, ივანე ფალიაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მიქელაძე მთავარ დირიჟორად დაინიშნა, 1936-37 წლებში იყო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

დირიჟორი უნიკალური, ფენომენალური მეხსიერებით გამოირჩეოდა.

თბილისში ახლად ჩამოსულ ევგენი მიქელაძეს „სტელას“ საზაფხულო ბაღში გამართულ სიმფონიურ კონცერტზე, პროკოფიევის ნაწარმოების დირიჟორობის დროს პარტიტურიდან ოცი სანოტო ფურცელი ამოღებული დახვდა. მან პარტიტურა დახურა და ზეპირად იდირიჟორა, რამაც საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. მსგავსი ფაქტები მის ცხოვრებაში ხშირად იყო.

თავისი უშრეტი ენერგიისა და მონდომების წყალობით, 1932 წელს დააარსა თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა ორკესტრი. 1933-37 წლებში ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს. მიქელაძე შესანიშნავად უძღვებოდა ორ დიდ საქმეს - საოპერო და სიმფონიურ ხელოვნებას. მისმა მოღვაწეობამ უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო ქართული კლასიკური სიმფონიური მუსიკის პოპულარიზაციის საქმეში, არამედ მის სწრაფ პროფესიონალურ განვითარებაში, რამეთუ იქცა ამ ჟანრში მოღვაწე ახალგაზრდა კომპოზიტორებისათვის ერთგვარ შემოქმედებით ლაბორატორიად.

იხ. 11 გვ.

# უღრანი ტყეები ქართული სოფლების ადგილას



**2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საქართველომ კონტროლი დაკარგა 189 სოფელზე, მათგან 125 დღემდე რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის ქვეშ რჩება. ომის შემდეგ საკუთარი სახლი დატოვა თითქმის 150 000-მა ადამიანმა, რომელთაგან 30 000 დევნილობაში რჩება. „სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართულ სოფლებში ისტორიები თანაბრად შემაძრწუნებელია. გასამხედროებული ფორმირებები შედიან სოფლებში, მანქანებს და საბარგულებს ავსებენ ყველაფრით, რასაც ფასი აქვს, შემდეგ კი წვავენ სახლებს და შემდეგი სოფლისაკენ მიემართებიან“,** — წერდა „რადიო თავისუფლება“ 2008 წელს.

2008 წლის 15 აგვისტოს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი გაზეთ „კომერსანტის“ ჟურნალისტის კითხვაზე „რა ხდება ამჟამად ქართული ანკლავების ტერიტორიაზე?“ აცხადებდა: „არაფერი, ყველაფერი დაინგრა, სამხრეთ ოსეთის საზღვრები დადგენილია“. იქვე, იმავე ინტერვიუში, იგი დაჟინებით იმეორებდა, „ჩვენ არ ვაპირებთ, ვინმე ოდესმე უკან დავაბრუნოთ. საქართველოდან დაახლოებით 18 ათასი ოსი დევნილია ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთში და სწორედ ისინი უნდა დაბრუნდნენ სამხრეთ ოსეთში“. მოგვიანებით ეუთოს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის დამდგენ სპეციალურ მისიას (OSCE/ODIHR HRAM), რომელიც საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდა, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ელეონორა ბედოევამ უთხრა, რომ **„თუკი ქართველი, რომელიც რჩება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ვერ გაამართლებს ჩვენს მოლოდინს, მათ განვდევნით... მე არ მჭირდება ქართველების დაბრუნება ჩრდილოეთის სოფლებში თამარაშენსა და სხვებში, და მათ ამის შესაძლებლობა არ ექნებათ.“** ქართული მხარის მიერ დაკარგული სოფლები ომის დროს და მომდევნო დღეებსა და თვეებში გადაწვეს და გაძარცვეს. შემდეგი წლები იქ არსებული ნაგებობების სრულ განადგურებას მოხმარდა. ხალხმრავალი სოფლების ადგილას ომის დასრულებიდან 13 წლის შემდეგ უღრანი ტყეები და მოსწორებული მინდვრებია. 2017 წელს რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 4,2 მლდ. რუბლით (რაც დაახლოებით 70 მლნ. დოლარი იყო) დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელიც სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ისახავდა მიზნად, ქართულ სოფლებში დარჩენილი სახლები მძიმე ტექნიკით გაასწორეს მიწასთან. Google earth-ით გადაღებული ფოტოები ნათლად აჩვენებს ქართული სოფლების მდგომარეობას ომამდე და ომის შემდეგ.

**„სოფელი და ქალაქი ერთად შერწყმული — აი, ასეთი იყო თამარაშენი. უნიკალური ჰაერი და წყალი. მაჩაბლის მუზეუმი, ახალი, ძალიან კარგი სკოლა, მაღაზიები, ბანკი — ყველაფერი, რაც საჭირო იყო ცხოვრების პირობებისთვის. ბავშვებისთვის ატრაქციონები გაკეთდა, საცურაო აუზი შენდებოდა, მაგრამ ვინ გვაცალა?! ახლა აღარაფერი აღარ არსებობს. აღარც სახლები. მარტო სასაფლაოა“,** — ასე იხსენებდა 2018 წელს „რადიო თავისუფლებასთან“ თავის სოფელს თამარაშენის ერთ-ერთი ბინადარი, დარეჯან დათაშვილი.

**„დაბომბვა რომ შეწყდა, გამოვედი გარეთ და ვნახე იქვე, ჩემი სახლიდან ცოტა მოშორებით, რამდენიმე ჩემი თანასოფლელი უგონოდ ეგდო. მივედი, ვნახე და გარდაცვლილები იყვნენ. იმ დღეს მათი დასაფლავების საშუალებაც არ გვქონდა. დაღუპულები იყვნენ კახნიაშვილი გრიშა და კახნიაშვილი ვასო. როგორც შემდეგ გავიგე თანასოფლელებისგან, 9 აგვისტოს დაბომბვის შედეგად დაიღუპნენ ავალიანი თინათინი და მარიკა კახნიაშვილი მანქანაში სოფელ ერედვთან ახლოს, სოფლიდან გასვლას რომ ცდილობდნენ მაშინ. 10 აგვისტოს დავასაფლავეთ გარდაცვლილები...“** — ასე იხსენებდა სოფლის დაბომბვას 2009 წელს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ინტერვიუში კეხვში მცხოვრები და ამ დროისთვის უკვე დევნილი სულიკო კახნიაშვილი.







2008 წლის ომის შემდეგ ფორმა შეიცვალა ცხინვალმაც. სამხედრო ბაზა, რომელიც ცხინვალში მდებარეობდა, 2008 წლის ომის შემდეგ ბევრად მასშტაბური გახდა და დაიკავა უკვე განადგურებული თამარაშენის მოსაზღვრე ტერიტორია. რუსეთის მე–4 სამხედრო ბაზა ცხინვალის რეგიონში 2009 წლიდან არსებობს და მის შემადგენლობაში დაახლოებით 4 000 სამხედროა. ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის მე-4 სამხედრო ბაზის უშუალო ფუნქციაა ცხინვალის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ინტერესების დაცვა. ბაზა რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შედის და კავკასიაში კრემლის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მე-4 სამხედრო ბაზის ფორმირების საკითხი დღის წესრიგში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დადგა. ბაზის ფორმირება 2009 წლის 1 თებერვალს მოხდა მე-19 მოტომსროლელი დივიზიის 693-ე საგვარდიო და 135-ე მოტომსროლელი პოლკების ბაზაზე. არსებული მონაცემებით, მე-4 სამხედრო ბაზაზე 4000-მდე სამხედრო მოსამსახურეა. ცხინვალის რეგიონში ბაზის ძირითადი დისლოკაციის ადგილებია ქ. ცხინვალსა და ჯავაში. ბაზა სამხედრო თვალსაზრისით სრულყოფილად არის აღჭურვილი. დღიდან დაარსებისა პერიოდულად მიმდინარეობს ბაზის სამხედრო პოტენციალის შეირაღების ახალი კომპონენტებით განახლება. მაგ. 2011 წლიდან ცხინვალის რეგიონში განათავსეს „Точка-У“-ს სარაკეტო კომპლექსის ოპერატიულ-ტაქტიკური დივიზიონი. 2012 წლიდან მე-4 სამხედრო ბაზის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა ოსური ბატალიონი, სადაც შეუძლიათ იმსახურონ ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლებმაც. 2016-2017 წლებში სამხედრო დანიშნულების ნაგებობები ჩნდება ისეთ ადგილებში, სადაც ქრება ქართული სოფლები. ერთ-ერთი ასეთი ადგილია სოფელ ხუმსართას მოსაზღვრედ.

**ნასტასია არაბული**
**„რადიო თავისუფლება“**



## ჩინეთს ტაიფუნი უახლოვდება

**ჩინეთს ტაიფუნი In-Fa უახლოვდება. სინოპტიკოსების ინფორმაციით, ტაიფუნი კვირას შანჰაის აღმოსავლეთ სანაპიროს დაატყდება თავს. ამიტომ პორტიდან ათობით გემის ევაკუაცია განხორციელდა. დაიკეტა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, პარკები და მუზეუმები.**

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ავიარეისების და სარკინიგზო ტრანსპორტის გადაადგილების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო და მოსახლეობას სახლში დარჩენისკენ მოუწოდა. მეტეოროლოგიური სამსახურის ცნობით, ტაიფუნი 146 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს და ჩინეთის აღმოსავლეთ რეგიონებში ძლიერ წვიმას და წყალდიდობებს გამოიწვევს.

## დასავლეთ გერმანია სტიქიის პირისპირ

**დასავლეთ გერმანიაში მოსალოდნელი ჭარბი ნალექის გამო შესაძლოა, მოსახლეობის ევაკუაცია გახდეს საჭირო. დასავლეთ გერმანიაში სტიქიის რაიონებში ისევ წვიმს. კატასტროფის წინააღმდეგ ბრძოლის შტაბის ხელმძღვანელის, ბეგონა ჰერმანის განცხადებით, ჯერჯერობით ნალექის რაოდენობა საგანგაშო არ არის, თუმცა სინოპტიკოსთა ცნობით, ამინდის პირობები შესაძლოა, კვლავ გაუარესდეს, რის გამოც მიზანშეწონილია მოსახლეობის ევაკუაცია.**

ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობისთვის სამარშრუტო ავტობუსები გამოყო, რომლითაც მათ თავშესაფარში გადაიყვანენ. პოლიციამ მოხალისეებს მოუწოდა თავი შეიკავონ რეინლანდ-პფალცის რეგიონში ჩასვლისგან. მათი თქმით, სტიქიის რეგიონში მოხალისეების დიდი ნაკადის გამო გზები გადატვირთულია და დაზარალებულ რაიონებში მძიმე ტექნიკის შეყვანა ვერ ხერხდება. 24 ივლისის მონაცემებით, მასშტაბური წყალდიდობებით გამოწვეულ მსხვერპლთა რიცხვი გერმანიაში 179 შეადგენს. წინასწარი მონაცემებით, წყალდიდობებით მიყენებულმა ზარალმა შესაძლოა, ხუთ მილიარდ ევროს გადააჭარბოს.

## ძლიერი წვიმები ინდოეთში

**დასავლეთ ინდოეთში, მაჰარაშტრას შტატში, ძლიერი წვიმით გამოწვეულ მეწყერებსა და წყალდიდობას 11 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.**

დატბორილია ასობით სოფელი, შეჩერებულია სარკინიგზო მიმოსვლა. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, შტატში, ივლისში, რეკორდული ოდენობის ნალექი დადასტურდა. რამდენიმე დასახლებულ ადგილას მოსახლეობის ევაკუაციაა გამოცხადებული, რადგან, გადავსებული კაშხლები წყალს ვეღარ იტევს და მის გაშვებას აპირებენ. სინოპტიკოსები მომდევნო დღეებშიც ძლიერ წვიმას ვარაუდობენ.



## გადაარჩინეს 368-მდე მიგრანტი

**ხმელთაშუა ზღვაში, მაროკოს სანაპიროსთან, სამდღიანი სამაშველო ოპერაცია დასრულდა. გადარჩენილია 368 მიგრანტი.**

მიგრანტების უმეტესობა სუბსაჰარული აფრიკის ქვეყნებიდანაა. მათ შორის, სამი ბავშვი და შვიდი ქალია. ისინი 22 გასაბერი ნავით, 30 კაიაკითა და 5 საბურავით ცდილობდნენ ევროპამდე მიღწევას. გასული წლის ნოემბერში, მაროკოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ 2020 წელს 26 800 არალეგალური იმიგრაციის მცდელობა აღკვეთა და მიგრანტთა ტრეფიკინგის 196-ზე მეტი ქსელი გაანადგურა.



## სამხრეთ აფრიკაში საგრძნობლად აცივდა

**აფრიკის სამხრეთით, სადაც ახლა ზამთარია, რეკორდულად დაბალი ტემპერატურა დაფიქსირდა. ამის შესახებ მედია სამხრეთ აფრიკის მეტეოროლოგიურ სამსახურზე დაყრდნობით წერს. 24 ივლისის ღამეს 19 რეგიონში დაბალი ტემპერატურის ისტორიული რეკორდი მოიხსნა. ქალაქ კიმბერლიში ტემპერატურა -9,9$^{0}$C-მდე დაეცა. ხოლო იოჰანესბურგში კი -7$^{0}$C-მდე. ეს მაჩვენებელი მეტეოდაკვირვების ისტორიაში ყველაზე დაბალია.**

სინოპტიკოსების პროგნოზით დაბალი ტემპერატურა რეგიონში კიდევ ერთი კვირა იქნება. არსებული მონაცემებით ჰაერის ცივი მასა ანტარქტიდიდან დაიძრა.

# რა აკავშირებთ მიქელ-გაბრიელის ცელს და რევოლუციონერი კამოს მენიუს?!




ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC) თანახმად ვაქცინის გვერდითი მოვლენების აღმრიცხველმა სისტემამ (VAERS – Vaccine Adverse Event Reporting System) 2021 წლის პირველ სამ თვეში კოვიდვაქცინაციით გამოწვეული სიკვდილის 1 750 შემთხვევა აღრიცხა, ხოლო ივნისის შუა რიცხვებში **— 5 997 (!)** (290 მილიონ აცრაზე), **რაც სხვა ვაქცინებისგან 2020 წელს დაღუპულთა საერთო რაოდენობაზე** (165 შემთხვევა 300 მილიონ აცრაზე) **36 (!)-ჯერ მეტია და, საგრძნობლად აღემატება ბოლო 20(!) წლის მანძილზე ვაქცინებისგან დაღუპულთა საერთო რაოდენობას** (კოვიდვაქცინაცია აშშ-ში 2020-ის დეკემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყო)**!**

ამ საგანგაშო ცნობას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია! არადა, ჩვეულებრივ, როდესაც შეერთებულ შტატებში მხოლოდ ხუთი ადამიანი იღუპება და ეჭვი სამედიცინო პროდუქტზეა მიტანილი, **FDA** (კვებითი და სამედიცინო პროდუქტების სამმართველო) ე.წ. **შავი ყუთის გაფრთხილებას** (Black Box Warning) აქვეყნებს – ეს არის მომხმარებლისთვის გამოცემული შეტყობინება იმის შესახებ, რომ ამ მედიკამენტმა, შესაძლოა, სიკვდილი გამოიწვიოს. 50 ადამიანის სიკვდილის შემთხვევაში კი, ეს პროდუქტი საერთოდ იხსნება წარმოებიდან! **ასე მოხდა, მაგალითად 1976 წელს, როდესაც ღორის გრიპის დროს 45 მილიონი აცრილიდან 53 გარდაიცვალა და, ამ მიზეზით შეწყვიტეს კიდეც ვაქცინაცია!** ამჯერად კი, – არავითარი რეაგირება, ვითომც არაფერი არ ხდება და ყველაფერი „ნორმის“ ფარგლებშია, თითქოს, კოვიდვაქცინები უსაფრთხოა და ეფექტური! უნდა ითქვას, რომ გართულება-სიკვდილიანობის მხრივ კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ევროპაში – ევროპის სამედიცინო სააგენტოს **(EMA)** ცნობით **3 მაისისთვის კოვიდ-ვაქცინებისგან დაღუპული იყო 5 993 ადამიანი,** რაც **50-ჯერადი(!) მატებაა ტრადიციულ ვაქცინებთან შედარებით!**

**CDC-ის ერთ ლინგვისტურ-იურიდიულ ვირეშმაკობაზედაც** უნდა ითქვას: ვინაიდან არცერთ ვაქცინას მსოფლიოში დაკვირვება-გამოცდის სამივე ფაზა სრულყოფილად არ გაუვლია (და, მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა გასაკვირვი იყოს, ვაქცინაცია მაინც მაქსიმალური ტემპებით მიმდინარეობს მსოფლიოში – დღეისათვის ასობით მილიონი ადამიანია ვაქცინირებული სრულად, ანუ მიღებული აქვს ორივე დოზა), **CDC**-ს და **EMA**-ს **არ დაუმტკიცებია (not approved!) არც ერთი მათგანი, ისინი არეგისტრირებენ ამ ვაქცინებს, როგორც „გადაუდებელ(!) გენურ თერაპიულ საშუალებას“ და ნებას რთავენ, დასაშვებად მიიჩნევენ (alloved!) მათ გამოყენებას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.**

**გაოგნდები კაცი გაოცებისგან – მაშ რისთვის იხარჯება მილიარდები და რატომ იცრება მთელი მსოფლიო?! ნუთუ ერთადერთი გამოსავალი, არასაკმარისად შესწავლილი, ბოლომდე გამოუცდელი ვაქცინებით საყოველთაო აცრებია?! თუნდაც, 100%-ით იყოს რომელიმე ვაქცინა ეფექტური, რა აზრი აქვს მის გაკეთებას, თუკი იგი 3-თვიან იმუნიტეტს იძლევა მხოლოდ?! ყოველ სამ თვეში უნდა ავიცრათ?! აი, როგორ გვიხსნიან სისტემატური აცრების აუცილებლობას ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე მყოფი პირები: ვინაიდან კოვიდგადატანილების სისხლში ანტისხეულები სამ თვეში (ზოგჯერ უფრო მალეც) ქრება და, მაშასადამე, იმუნიტეტიც აღარ აქვს ორგანიზმს, ამიტომ, განმეორებითი კოვიდინფიცირებისგან თავის დასაცავად სამი თვის თავზე აცრა აუცილებელიაო. ზუსტად იგივე წესი მოქმედებს აცრილებთან დაკავშირებითაც – მათაც ხელახალი ვაქცინაცია უნდა ჩაიტარონ ყოველ (!) 3-4 თვეში, და ა. შ. და ა.შ. (ზუსტად 90 დღის თავზე ცრიან ამერიკაშიც ჰოსპიტლიდან გამოწერილებს, თუნდაც, ძალიან მძიმე ფორმით ჰქონდეს ადამიანს კოვიდი გადატანილი). იმის დამადასტურებელი კვლევა კი, რომ დაავადების(!) გადატანიდან სამი თვის თავზე აცრა აუცილებელია, არ არსებობს! და არც შეიძლება არსებობდეს,** რადგანაც:

ცნობილია, რომ სისხლში მოხვედრილ ანტიგენზე, ანუ ნებისმიერ (!) უცხო სხეულზე, ბაქტერია იქნება ეს, ვირუსი თუ სხვა, ჩვენ ორგანიზმს ყოველთვის ექნება იმუნური პასუხი – იგი ყოველთვის(!) გამოიმუშავებს ანტისხეულებს. ორი კვირის თავზე ანტისხეულების რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს, ოღონდ შემდგომში კლებას იწყებს და ქრება კიდეც. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგანაც ცხოვრების მანძილზე იმდენი ანტიგენი ხვდება ორგანიზმში, რომ ყოველ მათგანზე გამომუშავებული ანტისხეულები სისხლში თუ დარჩებოდნენ, მაშინ, – როგორც მოლეკულური ბიოლოგი, რატგერის (ნიუ ჯერსი) უნივერსიტეტის პროფესორი **კონსტანტინე სევერინოვი** ამბობს, – ჩვენი **სისხლი ჟელეს დაემსგავსებოდა!** სწორედ ამიტომ ქრებიან ანტისხეულები, მაგრამ **ძვლის ტვინში არის ე.წ. მეხსიერების უჯრედები, რომლებიც იმახსოვრებენ რა ანტიგენს, მისი განმეორებით მოხვედრის შემთხვევაში უცებ სცნობენ მას, სწრაფად იწყებენ გამრავლებას და წარმოქმნიან „დაუკითხავი სტუმრის“ გასანეიტრალებლად საჭირო რაოდენობის ანტისხეულებს!** ასეთი ჭკვიანია ჩვენი ორგანიზმი, განსხვავებით ზოგიერთებისგან, – ჩვენთან თუ უცხოეთში!

თუკი, ახალ-ახალი შტამებით გამოწვეული პანდემიის ტალღები გაგრძელდა (არადა, ასეთი პირი უჩანს!) და ძველმა ვაქცინამ ახალ შტამებზე არ იმოქმედა, მაშინ, ჯანდაცვის მესვეურების მენტორული შეგონებებიდან გამოდის, რომ ძველ ვაქცინას ახლები უნდა დავამატოთ ანდა ჩავანაცვლოთ და, ისინიც სამ თვეში ერთხელ უნდა ვიჩხიროთ მანამ, სანამ რომელიმე აცრის შემდეგ წერილს არ წავიღებთ?! (ისე, არავინ დაიჯეროს, რომ ასეულობით მილიონი დოლარის ღირებულების ათეულობით მილიონ გამოუყენებელ დოზას ვინმე გადაყრის, რა თქმა უნდა, არა როგორც ღორის გრიპის დროს იყო თავის დროზე, და მილიონობით მორჩენილი დოზა გააგზავნეს აფრიკაში „დახმარების“ სახით, ისევე მონახავენ შესაფერის ადრესატს განვითარებად სახელმწიფოებში, ჩვენის ჩათვლით, ცხადია!).

**ის, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ვირუსებთან ბრძოლის არათუ არასწორი, დანაშაულებრივი მეთოდია სულით ავადმყოფი, კაცთმოძულე არსებების თავში შობილი**. ყველა პატიოსანი და ჭეშმარიტი მეცნიერის მოსაზრებით **ერთადერთი ეფექტური და ყოველმხრივ გამართლებული გზა ჩვენი გადარჩენისა იქნება, თუკი, ამგვარი „ვაქცინების“ შექმნა-წარმოება-შეძენაში კი არ დაიხარჯება ასობით მილიარდი, არამედ, თითოეული ადამიანის ბუნებრივი იმუნიტეტის (!) გაძლიერებაში – მისი საცხოვრებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების, კვების, სასმელი წყლის ხარისხის და ეკოლოგიის გაუმჯობესების გზით!** ეს არის ყველაზე სწორი და ეფექტური გზა! **ინექციებით და ტაბლეტებით, ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დაუცველად, ადამიანის გაჯანმრთელება ვერაფრით ვერ მოხერხდება, მისი იმუნური სისტემა მუდამ დაქვეითებული იქნება!**

**აბსოლუტურად გაუგებარია ინფორმირებული და განათლებული საზოგადოების (ექიმთა საზოგადოების ჩათვლით) არცთუ პატარა ნაწილის პოზიცია – როგორ შეიძლება იცოდე ბილ გეიტსის და მისი „კაცთმოყვარე“ ფილოსოფიის გამზიარებელი ძმების – როკფელერების, სოროსების და სხვების გაცხადებული(!) მიზნების, მსოფლიო მოსახლეობის ერთ მილიარდამდე შემცირების შესახებ, იცოდე, რომ თავისი სამი შვილიდან (ორი ქალიშვილი და ვაჟიშვილი) მას არც ერთი არ აუცრია არასოდეს და, არც ახლა აპირებს, იცოდე ისიც, რომ არც მულტიმილიონერები ცრიან თავიანთ შვილებს და, მიუხედავად ამისა, ყოველგვარი ლოგიკის, საღი აზროვნების საწინააღმდეგოდ მაინც გჯეროდეს, რომ ბილ გეიტსი უდიდესი ქველმოქმედი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) უანგარო დამფინანსებელი, კაცობრიობაზე, განსაკუთრებით კი, მოხუცებული ადამიანების ჯანმრთელობაზე მზრუნველი და მათ გადარჩენაზე მაფიქრალი კაცია, ოღონდ... მხოლოდ ვაქცინაციის(!) და, არა ცხოვრების დონის ამაღლების გზით!** ეს კატეგორია ადამიანებისა იმათ მიეკუთვნება, ვინც ძალიან ცუდად ერკვევა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში და, რომლებსაც იოტის ოდენა ეჭვიც არ შეაქვთ სი-ენ-ენის, ბი-ბი-სის და დასავლეთის სხვა მსხვილი ტელევიზიების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში, ნახევარ სიმართლეში. ამის კლასიკურ მაგალითად ამ ტელევიზიების მიერ მსოფლიოსთვის მოდებული ბილ გეიტსის „ხელგაშლილობის“ ბოლოდროინდელი ამბავიც გამოდგება: 2020 წელს გეიტსმა ერთი მილიარდი(!) დოლარი გაიღო კოვიდსაწინააღმდეგო ზომების, პირველ რიგში, ვაქცინების წარმოების დასაფინანსებლადო! ნახევარსიმართლე, ანუ დეზინფორმაცია კი არის იმიტომ რომ, როცა ამ **„ღვთისნიერმა“ კაცმა კოვიდ-პანდემიის გამოცხადების შედეგად, პირველ ორ(!) თვეში 12 (!) მილიარდი მოგება ნახა, ამ ფაქტზე ყურადღება არავის გაუმახვილებია!**

ბილ გეიტსს არც კითხვას უსვამენ იმის შესახებ, თუ ვინ მოყვება მის მიერ ინიცირებული „კაცობრიობის მთავარი ამოცანის – დეპოპულაციის“ აღსრულებაში: მსოფლიოს ყველა ერები და მოსახლეობის ყველა ფენა თანაბრად, თუ ყველაფერი შერჩევით მოხდება, როგორც ხალხებს შორის, ისე – მათ შიგნითაც? მდიდარი, ძლიერი, განვითარებული და ღარიბ-ღატაკი, სუსტი, განვითარებადი (ანუ განუვითარებელი) სახელმწიფოები თანასწორი უფლებებით ვისარგებლებთ?! მილიონერები და არაფრის მქონენი (ვალების გარდა) თანასწორნი იქნებიან ?! პასუხი სრულიად ნათელია, რადგანაც ორჯერ ორივითაა! და, ვინ იქნება არბიტრი, ვინ გადაწყვეტს ამას ყველაფერს? აქაც არ არის თავის მტვრევა საჭირო, – რა თქმა უნდა, ისინი, იმ ერის და იმ ფენის წარმომადგენლები, ვინაც წამოჭრა დეპოპულაციის პრობლემა, ვინაც შეიმუშავა მისი „ჰუმანურად“ გადაჭრის მეთოდიც – ვაქცინებად წოდებული „გენური კოქტეილით“ ანუ საყოველთაო, იძულებითი ვაქცინაციის გზით (სხვა გზებმა – ამ ძალების მიერ პროვოცირებულმა ვერც ლოკალურმა და ვერც მსოფლიო ომებმა, ვერც ხელოვნურად გამოწვეულმა მასობრივმა შიმშილობებმა და პანდემიებმა, მათთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო!), ვისაც ფინანსურ, პოლიტიკურ თუ სამხედრო კაბალაში ჰყავს თითქმის მთელი მსოფლიო, ვინც ელჩების და მიმაგრებული მრჩევლების („ეკონომიკური მკვლელების“) მეშვეობით ყველა მთავრობის თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებს!

დამაფიქრებელია ერთი ფაქტიც: გეიტსმა და მისმა ამფსონებმა მსოფლიოს მოსახლეობის 7.7 მილიარდი ადამიანიდან, რატომღაც, მხოლოდ 7 მილიარდისთვის (90 %-თვის) საკმარისი 14 მილიარდი დოზის გამოშვება დაგეგმეს თავის დროზე, როდესაც „გადასარჩენი“ მსოფლიოს ვაქცინაცია ჩაიფიქრეს. **ბილ გეიტსი** პირდაპირ აცხადებდა: **„ჩემი ნატვრა – ეს ვაქცინის 14 მილიარდი დოზაა“!** ვინაიდან თავიდანვე იყო ცნობილი, რომ თითქმის, ყველა სახელმწიფოში მოსახლეობის უმრავლესობა (2/3-დან 3/4-მდე) არ აპირებდა გამოუცდელი ვაქცინით აცრას და ზღვის გოჭების როლში ყოფნას, მათ მარტივი ფორმულა (მათი აზრით, იურიდიულად გამართული) გამონახეს: აცრები ნებაყოფლობითია, ეს თქვენი კონსტიტუციური უფლებაა, – გვეუბნებიან წარბშეუხრელად, – მაგრამ თუ არ აიცრებით და ჩვენ მიერ შემოღებულ **კოვიდ-პასპორტში** არ გექნებათ ჩატარებული აცრების სრული ნუსხა მითითებული, ისეთ სამსახურებში, სადაც ადამიანებთან კონტაქტი მოგიწევთ (ბაგა-ბაღებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საავადმყოფოებში, რესტორნებში, მაღაზიებში და ა.შ.) ველარ იმუშავებთ და, ცხადია, ამ დაწესებულებებში არც თქვენ აუცრელ შვილებს მიიღებენო; უცხოეთში ვერ გაემგზავრებით – არა მარტო თვითმფრინავით ან ავტობუსით, არამედ – ვერც საკუთარი მანქანითო (მოგიწევთ ორ-ორ კვირიანი კარანტინის გავლა უცხო სახელმწიფოში შესვლისას და, – უკან დაბრუნებულებსაც). ერთი სიტყვით, სამსახურებს უნდა დაემშვიდობოთ და, გამორიცხული არ არის, თუ აცრილი ხალხის(!) მოთხოვნაც იქნა, სახლიდანაც ვერ გამოყოთ ცხვირიო! მოკლედ, **აცრა-არაცრა თქვენი ნებაა, დანარჩენი – ჩვენიო!** ასე, რომ ისეთ პერსპექტივას გვიხატავენ, უკეთესს ვერ ინატრებ კაცი! ახსნა-განმარტებით თავს არ იწუხებს არავინ: სიტყვაზე უნდა დაგვიჯეროთ, როგორ არ გესმით („თქვე ბნელებოო“, – პირდაპირაც ამბობენ!), რომ ყველაფერი თქვენი ჯანმრთელობისთვის, თქვენი კეთილდღეობისთვის კეთდებაო; განა ასე ძნელია უბრალო რჩევების გათვალისწინება – რასაც გირჩევთ, ის უნდა მიირთვათ, დალიოთ და შეიშხაპუნოთ; ჰაერიც პირბადეში გატარებულ-„გაფილტრული“ უნდა შეისუნთქ-ამოისუნთქოთო; როცა გეტყვით, სახლიდანაც იმ საათებში გამოხვალთ და შეხვალთ; ეს ხომ ძალიან ადვილი დასამახსოვრებელ-შესასრულებელია, ამას საქონელიც კი ადვილად ითვისებს – იცის საბალახოდ როდის გარეკავენ და სახლსაც თავის დროზე აგნებს უპრობლემოდო.

**ახლა დავუშვათ, რომ კოვიდვაქცინაციის მოწინააღმდეგენი ყველაფერში ცდებიან, და ამ „ვაქცინებს“ არავითარი გვერდითი მოვლენები არ ახლავს, ანუ მისი ყოველი წვეთი ჩვენს „ჯანში მიდის“; დავუშვათ ისიც, რომ ჩინურ თუ ბრიტანულ შტამებზე შექმნილი „ვაქცინა“ ყველა სხვა შტამს უმკლავდება, ყოველ შემთხვევაში, ვიჯერებთ იმას, რასაც გვეუბნებიან – რომ აცრილები ან არ გავხდებით საერთოდ ავად, ანდა – მსუბუქ ფორმებში გადავიტანთ ახალ შტამებსაც კი. ამას რა ჯობია, მაგრამ ნათქვამია: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა ვუყოთ ივნისის ბოლო რიცხვებში ინგლისის ჯანმრთელობის დაცვის სააგენტოს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ცნობას, რომელიც ევროპის სხვა ქვეყნების მედიამაც გამოაქვეყნა, როგორც სენსაციური ფაქტი: დიდ ბრიტანეთში კორონავირუსის ე.წ. „დელტა“-ვარიანტის მიზეზით (იგივე ინდური შტამით) გარდაცვლილი 117 ადამიანიდან 50 (42.7%) სრულად იყო ვაქცინირებული, ხოლო 20 (17.1%)-ს ვაქცინის პირველი დოზა ჰქონდა მიღებული, ანუ თითქმის 60 % (!) სრულად ან ნაწილობრივ იყო ვაქცინირებული! ამ ფაქტს ხომ ვერსად გავექცევით! მაშ, რა აზრი აქვს აცრას, თუკი ვაქცინა არც უსაფრთხოა და, არც ეფექტური ყოფილა?! ეს კითხვა ხომ ყველა ნორმალურ ადამიანს დაებადება! ჯერ იყო და, ის უკვირდა აცრილ კაცს, თუ რატომ ავალდებულებდნენ მასაც პირბადის ტარებას, რატომ აშინებდნენ მას აუცრელი ადამიანით, ახლა კიდევ ეს უტყუარი ინფორმაციაც დაემატა და, უკვე რაღა დარჩა ვაქცინის „სიკეთეებიდან“? არც არაფერი! ყოველ 3-4 თვეში ხელახალი აცრა და საფრთხეში განმეორებით თავის ჩაგდება, ძნელად თუ მოხიბლავს ვინმეს! ალბათ, მხოლოდ, – ძალიან, ძალიან დაშინებულს!**



**იაკობ ლეჟავა,**
ტელ: 593 55 04 00

(დასასრული მომდევნო ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №159-160

ტოკიო – 2020

# ვაჟაობა იაპონიაში

**ოლიმპიადის** მეორე დღე ისტორიული ფაქტით გაიხსნა — ნინო სალუქვაძე ქალთაგან პირველია, ვინც თამაშების ცეცხლის ხაზზე მეცხრედ(!) დადგა და, მართალია, 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტიდან მსროლელთა ტურნირის ფინალში ვერ მოხვდა, მაგრამ „ჯვაროსნებს“ შესანიშნავი განწყობა მაინც შეუქმნა.

მართლაც, მალევე 66 კილოში მოასპარეზე ძიუდოისტმა ვაჟა მარგველაშვილმა ტატამზე ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ ნავსი გატეხა და საქართველოს დელეგაციას ამომავალი მზის ქვეყანაში პირველი — ვერცხლის მედალი მოუტანა.

კვარცხლბეკისკენ ბილიკის გაკვალვისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველივე ბრძოლაში უხერხულ მეტოქესთან — რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის სახელით მოჭიდავე იაკუბ შამილოვთან ტაქტიკურ დუელში ძირითადი დროის ბოლო წამებზე მოპოვებულ გამარჯვებას.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ევროპის ჩემპიონს ჩრდილოელ მეზობელთან ოთხივე შეხვედრა წაგებული ჰქონდა და უსიამოვნო ტრადიცია ეფექტური ილეთით დაარღვია.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახლდათ ჩვენებურის უპირატესობა ებრაელ ბარუხ შმაილოვთან, რომელსაც



ორი ვაზარით გაუსწორდა, ნახევარფინალში კი, შეიძლება ითქვას, კარიერის შერკინებაში დაჯაბნა კორეელი მსოფლიოს ჩემპიონი ბაულნი და ფინალში ღირსეულად გავიდა.

ვაჟას არც მასპინძელ ფუმი აბესთან შეურცხვენია თავი, მაგრამ ფორუმის გამოკვეთილ ფავორიტთან წაგების შემდეგ დამსახურებულ „ვერცხლს“ რომ „ოქროს“ ელვარება აქვს, ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება.

ასეა თუ ისე, ჯილდოების ანგარიში გავხსენით და ლოგიკურია, რომ ეს ძიუდოისტმა მოახერხა.

გულშემატკივართა გახარება 61 კილოში მოასპარეზე კონტინენტის გვირგვინოსან ძალოსან შოთა მიშველიძესაც შეეძლო, მაგრამ ორ-ორი ცდა გაუცუდდა როგორც აკვრაში, ისე ატაცში, მათ შორის მეორე მოძრაობაში — უკანასკნელი, როცა ჯერ კიდევ არსებობდა ორჭიდში „ბრინჯაოს“ მოხვეჭის შანსი და საბოლოოდ მე-7 ადგილს დასჯერდა.

გუშინ ოლიმპიურ ფიცარნაგზე გოგა ჩხეიძეც გამოვიდა და „ბ“ ჯგუფში ყველაც ჩამოიტოვა, მაგრამ ეს მეორე ეშელონი იყო...

**გიორგი შოთაძე**

ძიუდო

## მსოფლიოს ჩემპიონი უმედლოდ დარჩა



**თამაშების პირველ დღეს ძიუდოისტთა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს სპორტულ ღირსებას მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, მეორე ევროპული თამაშების გამარჯვებული ლუხუმ ჩხვიმიანი იცავდა.**

სტარტზე მან იპონით აჯობა აზერბაიჯანელ კარამატ ჰუსეინოვს და მეოთხედფინალში რიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორთან, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნაოჰისა ტაკატოსთან (იაპონია) დამარცხდა, თუმცა დამამშვიდებელში მოხვდა, მაგრამ იქაც კორეელ კიმ ვონ-იინთან ვერაფერს გახდა და საბოლოოდ საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდა.

ფარიკაობა

## სილადის მესამე ოქრო

**ტოკიოში ოლიმპიური თამაშების პირველ დღეს მედლების რამდენიმე კომპლექტი გათამაშდა, მათ შორის — ვაჟთა ხმლით ფარიკაობაში, სადაც კვარცხლბეკზე ასასვლელად 18 ქვეყნის 36 წარმომადგენელი იბრძოდა. ფავორიტთა შორის იყო სანდრო ბაზაძე, რომელიც მსოფლიოს რეიტინგით მე-7 ადგილზეა.**



ქართველმა მუშკეტერმა პირველ წრეში 26 წლის ეგვიპტელი, აფრიკის 2016 წლის ჩემპიონი და ორგზის (2018 და 2019) ბრინჯაოს პრიზიორი მოჰაბ სამერი დაამარცხა — 15:10, მერე კი მისი თანამემამულე, 27 წლის ზიად ელ-საისი ჩამოიშორა გზიდან — 15:12. მეოთხედფინალში სანდრომ მსოფლიოს და აზიის ოთხ-ოთხგზის ჩემპიონს, მსოფლიოს რეიტინგით პირველ ადგილზე მყოფ ო სანგ უკის (კორეა) აჯობა — 15:13. ნახევარფინალური შეხვედრა 31 წლის არონ სილადისთან (უნგრეთი) დაძაბულად და დრამატულად წარიმართა. ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებული (2012, 2016), მსოფლიოს და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი უნგრელი ჩვენებურთან შეხვედრისას თავიდან სამი ქულით დაწინაურდა, მერე ბაზაძე გავიდა წინ. ბოლო ორი იერიშისას რთულ სიტუაციაში არბიტრებმა მადიარის სასარგებლოდ საეჭვო გადაწყვეტილება მიიღეს, რითაც სილადიმ 15:13 გაიმარჯვა და ფინალში გავიდა, სადაც ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს, მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის და ევროპის ჩემპიონატების სამგზის ჩემპიონ ლუიჯი სამელეს (იტალია) იოლად მოუგო 15:7 და ოლიმპიური ჩემპიონობა მესამედ მოიპოვა. ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობა სანდრო ბაზაძემ ოლიმპიური თამაშების ოქროს (2012) და ბრინჯაოს (2016) მედალოსანთან, მსოფლიოს სამგზის და აზიის ორგზის ჩემპიონ კიმ ჯუნ ჰვანთან (კორეა) წააგო 11:15 და მეოთხე ადგილს დასჯერდა.

კრივი

## მადიევმა პირველი ბარიერი გადალახა

**ქართული კრივის ღირსებას ტოკიოს ოლიმპიურ რინგზე სამი სპორტსმენი დაიცავს — სახილ ალახვერდოვი (52 კგ), ესკერხან მადიევი (69 კგ) და გიორგი ხარაბაძე (75 კგ). 22-წლამდელებში ევროპის ჩემპიონი, 23 წლის ესკერხან მადიევი, რომელიც წარმოშობით ჩეჩნეთიდანაა, ბოლო ათი წელიწადია, თბილისში ცხოვრობს და ტურნირებში საქართველოს სახელით ასპარეზობს.**

ტოკიოს საგზური მან წლეულს პარიზის სალიცენზიო ტურნირზე მოიპოვა. თამაშების სტარტზე მისი მეტოქე იყო 36 წლის აზერბაიჯანელი „მუჰამად ალი“, წარმოშობით კუბელი — ლორენსო სოტომაიორ კოლაზო, რიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ლეგენდარული სიმაღლეზე მხტომელის, ოლიმპიურ ჩემპიონ ხავიერ სოტომაიორის ძმისშვილი, რომელსაც ჩვენებურთან ორთაბრძოლისას მესამე რაუნდში წარბი გაუსკდა და სისხლდენის გამო რეფერი იძულებული გახდა, პაექრობა შეეწყვიტა.





ხვალ მადიევი მეორე წრეში უგანდელ მუსა შადირი ბვოჯის შეხვდება, ხოლო წარმატების შემთხვევაში, მეოთხედფინალში ურთიერთობის გარკვევა, სავარაუდოდ, 2012 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორთან, 2019 წლის რუს მსოფლიოს ჩემპიონ ანდრეი ზამკოვოისთან მოუწევს.

დღეს ოლიმპიურ რინგზე საქართველოს ორი წარმომადგენელი გამოვა - საჰილ ალაჰვერდოვი (52 კგ; მისი მეტოქე იქნება ჩინელი ჰუ ძიანგუანი) და გიორგი ხარაბაძე (75 კგ; უზბეკ ფანატ კახრამონოვს შეხვდება).

ჩოგბურთი

## მეორე წრეში სონეგო ელის

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა ტოკიოს ოლიმპიურ კორტზე პირველი წრის შეხვედრა გამართა. ჩვენებურმა ორ სეტში სძლია ესპანელ რობერტო კაბრალეს ბაენას — 6:3, 6:2.**



დღეს ქართველი ჩოგბურთელი მომდევნო ეტაპზე ტურნირის მე-13 ნომერ ლორენცო სონეგოს (იტალია) დაუპირისპირდება, რომელმაც სტარტზე ტარო დანიელს (იაპონია) აჯობა სამ პარტიაში — 4:6, 7:6, 7:6.

**ლექსო ცინცაძე**

ფიასკო

# სავალალო პარალელები

**ტყუილად როდია ნათქვამი, ცხოვრება კონტრასტებითაა სავსეო. მართლაც, ლამის მკრეხელობაა, ტოკიოს ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ზღაპრული ცერემონიის ფონზე თანამემამულეთა მორიგ ჩავარდნაზე წერდე, მაგრამ რადგან პროფესია გვავალდებულებს, მოდით, მოვიხადოთ მოვალეობა და ერთი-ორი „სმეშნოი“ სიტყვით კონფერენსლიგაზე თანამედროვე ქართული საკლუბო ფეხბურთის ლიდერთა ძველმოდური თამაში და შესაბამისი შედეგები შევაფასოთ.**

ბაქოს „ნეფთჩისთან“ ჩემპიონთა ლიგაში გამართული ორივე შეხვედრის მსგავსად, თბილისის „დინამო“ ჰაიფას „მაკაბისთანაც“ შინ ზუსტად იმავე ანგარიშით — 1:2 დამარცხდა, თანაც პაპავამ პრესტიჟის გოლი მატჩის მიწურულს გაიტანა.



კაცს ენა არ მოგიბრუნდება, კახი ცხადაძის გაწვრთნილ გუნდს მონდომება დაუწუნო, მაგრამ როცა ოსტატობის ნაკლებობა და ბავშვობიდანვე არასწორი მიმართულებით მიღებული ტაქტიკური განსწავლულობა გაქვს არსენალში, წარმატების მოპოვება ნებისმიერ, თუნდაც სხვებისგან არაფრით გამორჩეულ საშუალო დონის რიგით მეტოქესთან გაგიჭირდება, ისრაელის ერთ-ერთი წამყვანი კლუბი კი, ევროპული მასშტაბებით, სწორედ ასეთი გახლავთ.

რაც შეეხება მშვენიერი ახალი სტადიონით დასაჩუქრებულ ბათუმის „დინამოს“, ზღვისპირეთში მთელი რიგი სოლისტების გარეშე ჩამოსულ ბორისოვის ბატესთან მას ნაკლები პრობლემები უნდა შექმნოდა, მაგრამ ახლო წარსულში გრანდების ბელარუსმა რისხვამ მასპინძლები 83-ე წუთზე მაინც დასაჯა — 1:0.

ოკეანის გაღმა

# 22 რჩეული

**მართალია, ამ დღეებში მთელი სპორტული სამყაროს ყურადღება ოლიმპიური ტოკიოსკენაა მიპყრობილი, მაგრამ გულშემატკივარს არანაკლებ აინტერესებს კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში განვითარებული მოვლენები.**





შეგახსენებთ, რომ ნბა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე — 1946 წელს შეიქმნა, ხოლო რამდენიმე დღის წინათ მისი საიუბილეო — 75-ე სეზონი „მილუოკის“ ტრიუმფით დასრულდა.

სულ მსოფლიოს ჩემპიონობა, როგორც ოკეანისგაღმელები უწოდებენ საკუთარ თავს, 22-მა კლუბმა მოიპოვა, რომელთა ნაწილიც დღეს საერთოდ აღარ არსებობს.

აი, 22 რჩეულის ვინაობა: **„ბოსტონი“ — 17, „ლეიკერსი“ — 12, „ჩიკაგო“ — 6, „მინეაპოლისი“, „სან ანტონიო“ — 5-5, „ფილადელფია“, „გოლდენ სტეიტი“ — 4-4, „დეტროიტი“, „ მაიამი“ — 3-3, „ნიუ იორკი“, „ჰიუსტონი“, „მილუოკი“ — 2-2, „ბალტიმორი“, „როჩესტერი“, „სირაკუზი“, „სენტ ლუისი“, „პორტლენდი“, „ვაშინგტონი“, „სიეტლი“, „დალასი“, „კლივლენდი“, „ტორონტო“ — თითოჯერ.**

◎ შთაბეჭდილებები აგრძელებენ სიცოცხლეს...



# ევგენი მიქელაძის ფენომენი

(მეშვიდე გვერდიდან)

**„შემოქმედებისაგან მიღებულ სიხარულსა და ხელოვნებისათვის ახალი ძალების აღზრდაშია ჩემი ცხოვრების შინაარსი“,** — აღნიშნავდა ევგენი მიქელაძე. მასთან თანამშრომლობდნენ შემდგომში ქართული მუსიკის ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ: ანდრია ბალანჩივაძე, შალვა მშველიძე, ალექსი მაჭავარიანი, გრიგოლ კილაძე, იონა ტუსკია და სხვები. ასეთი მაღალი კლასის დირიჟორთან ურთიერთობა მათ ეხმარებოდა პროფესიულ ზრდაში, ახლის ძიებაში, ინდივიდუალური შემოქმედებითი ხელწერის ჩამოყალიბებაში. ცნობილი ქართველი მუსიკათმცოდნის ანტონ წულუკიძის შეფასებით ევგენი მიქელაძე იყო იმ დროის საქართველოს „სიმფონიური ცხოვრების ჭეშმარიტი მთავარსარდალი“.

დირიჟორის მგზნებარე შემოქმედებითმა მოღვაწეობამ და საქმისადმი ერთგულებამ განაპირობა ის, რომ სულ რაღაც ექვს წელიწადში შეძლო, მთლიანად შეეცვალა თბილისის საკონცერტო ცხოვრების სტილი და დონე. მან გაანთავისუფლა საოპერო და სიმფონიური მუსიკის შესრულება დილეტანტურ-პროვინციული მანერებისაგან და ჩამოაყალიბა საშემსრულებლო კულტურის მაღალი სტანდარტი. მისმა ხელოვნებამ უდიდეს მასშტაბებს მიაღწია, რომელმაც საქართველოში პირველად ააჟღერა კლასიკური რეპერტუარის ბრწყინვალე ქმნილებები - ბეთჰოვენის, ვაგნერის, ბრამსის, შუბერტის, შუმანის, ბერლიოზის, მალერის, შტრაუსის, ასევე რუსული კლასიკის უდიდესი წარმომადგენლების — ჩაიკოვსკის, ბოროდინის, რიმსკი-კორსაკოვის, რახმანინოვის, შოსტაკოვიჩის, სტრავინსკის, პროკოფიევის ნაწარმოებები. გენიალური რუსი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი მიქელაძეს „საბჭოთა სადირიჟორო სკოლის სიამაყედ“ თვლიდა. ეს მაშინ, როცა ამ სარბიელზე მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი დირიჟორები, როგორებიც იყვნენ მრავინსკი და რაბინოვიჩი. მისი ხელმძღვანელობით ორკესტრის საშემსრულებლო დონე ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რომ თამამად იწვევდა საგასტროლოდ საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის გამოჩენილ დირიჟორებსა და სოლისტ-შემსრულებლებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის შემოქმედებითი შედეგები, რასაც მიქელაძემ მიაღწია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. მოკლე დროში მისი დაუღალავი შემოქმედებითი მოღვაწეობის წყალობით დაიდგა და აღდგა 20-მდე სპექტაკლი, მათ შორის: ვერდის — „აიდა“, „ტრუბადური“, „ოტელო“; პუჩინის — „ტოსკა“; გუნოს — „ფაუსტი“; დონიცეტის — „დონ პასკუალე“; სენ-სანსის — „სამსონ და დალილა“; მუსორგსკის — „ბორის გოდუნოვი“; ჩაიკოვსკის — „ევგენი ონეგინი“; ბოროდინის — „თავადი იგორი“; არაყიშვილის — „თქმულება შოთა რუსთაველზე“; ბალანჩივაძის — „თამარ ცბიერი“ და სხვა. ამ განახლებულ დადგმებში მიქელაძე წარმოჩნდა როგორც უბადლო გემოვნების, მაღალი სადირიჟორო ოსტატობით აღჭურვილი, მომთხოვნი და უკომპრომისო შემოქმედი. ათეული წლების შემდეგაც ეს დადგმები საეტალონო ნიმუშებად ითვლებოდა. მისი ხალასი ნიჭის გაბრწყინება მოხდა ქართული ხელოვნებისა და ლიტურატურის პირველ დეკადაზე მოსკოვში, სადაც მან იდირიჟორა ზაქარია ფალიაშვილის ოპერები — „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“. მისი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო სრულყოფილება, მასშტაბურობა, მგზნებარე ტემპერამენტი, ლირიკულ აღმაფრენას თან სდევდა ფხიზელი თვითკონტროლის გრძნობა და შინაგანი დისციპლინა.

წარმატებას ნიჭიერი, მეამბოხე სულის პიროვნება აღწევს. სწორედ ასეთი გახლდათ ევგენი მიქელაძე, რომლის თავბრუდამხვევი შემოქმედება სამწუხაროდ ისე მოულოდნელად სწრაფად დამთავრდა, როგორც მოულოდნელად და სწრაფად მოვარდა ქართულ სინამდვილეში. ის მაშინ 34 წლის იყო. იგი საბჭოთა კავშირის რეპრესიული რეჟიმის მსხვერპლი გახდა. მაესტრო, ფალიაშვილის ოპერის რეპეტიციის დროს დააპატიმრეს. ამის შესახებ თვითმხილველი, კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი ასე წერს: „საღამოს „ლატავრას“ გენერალური რეპეტიციის შემდეგ თეატრის მთავარი დირიჟორის ევგენი მიქელაძის კაბინეტში გაიმართა მსჯელობა. კრებას ევგენი უძღვებოდა. უეცრად კარი გაიღო და მოახსენეს, რომ მასთან შეხვედრა სურდათ. მიქელაძემ დარბაისლურად უპასუხა — „მოითმინონ“. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კარი ისევ გაიღო და ამჯერად უკვე ჩეკა-ს ფორმიანმა „მწვანექუდამ“ უბრძანა — გარეთ გამობრძანდითო. მიქელაძე როგორც ჩანს, მიხვდა, რისთვის „შეაწუხეს“ და კარისკენ გაემართა. მე იქვე კართან კუთხეში ვიჯექი და გაღებული კარის ფარდიდან მოვკარი თვალი, როგორ სწვდა ჩეკისტი „შრომის წითელი დროშის ორდენს“ და ჩამოგლიჯა პიჯაკის ბორტიდან. ელვის სისწრაფით მიიხურა კარი, მივხვდი, რომ ამით ყველაფერი დამთავრდა...“

ევგენი მიქელაძის დაპატიმრებას უამრავი ჭორ-მართალი მოჰყვა, რომელიც მაშინდელ ცეკას მდივანს — ლავრენტი ბერიას უკავშირდებოდა. დირიჟორს მოგონილი და შეთხზული, უკვე ტრადიციად ქცეული ანტისაბჭოთა საქმიანობა დააბრალეს... ციმბირში გადაასახლეს მისი მეუღლე — ქეთევან ორახელაშვილი, ხოლო შვილები — თამარი და ვახტანგი 1950 წელს — შუა აზიაში, მათი სრულწლოვანების შესრულების შემდეგ!

საქვეყნოდ აღიარებული დირიჟორი ეკუთვნოდა ქართველ მოღვაწეთა იმ პლეადას, ვისაც თავისი შეგნებული ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის პერიოდში კვებავდა და ასაზრდოებდა მხოლოდ და მხოლოდ მშობლიური ქვეყნის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა, თავისი საქმისადმი არაჩვეულებრივი ერთგულება. მან მთელი თავისი იშვიათი ნიჭიერება და უნარი სრულად მოახმარა ეროვნული მუსიკალური ხელოვნების ზრდისა და აყვავების საქმეს. გენიალურმა ხელოვანმა დაგვიტოვა უდიდესი მემკვიდრეობა, რამაც მის სახელს უკვდავება შესძინა.



**გელა ქოქიაშვილი,**
**ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, ქართული კულტურის ამაგდარი, სიღნაღის საპატიო მოქალაქე**

# მაია ნიკოლეიშვილი: სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, ჩემი ეროვნული და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის სიმბოლოდ იქცა



**პრეზერვატივების მწარმოებელი კომპანია „აიისას“ დამფუძნებელმა ანანია გაჩეჩილაძემ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ დავა მოიგო. გაჩეჩილაძემ სტრასბურგის სასამართლოში მას შემდეგ იჩივლა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წელს რეკლამაში გამოყენებული „რელიგიის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებებისთვის“ 500 ლარით დააჯარიმა და პროდუქციის გაყიდვიდან ამოღება დაავალა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს სახელმწიფომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) დაარღვია.**

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ექსპერტი **მაია ნიკოლეიშვილი** სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:

**„სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ანანია გაჩეჩილაძის მიერ გამოშვებულ პრეზერვატივებზე ჩვენი წმინდანის და უდიდესი მეფის თამარის გამოსახულების დატანა გამოხატვის თავისუფლებად მიიჩნია, და არ ჩათვალა ჩვენი, მართლმადიდებლების რელიგიური გრძნობების შებღალვად, შეურაცხყოფად, ჩვენი ისტორიის და ეროვნული სიამაყის წაბილწვად, ერის სულში ჩაფურთხებად!!!**

**გილოცავთ, ამ საქმის ქართველო ადვოკატებო, „დიდ გამარჯვებას“!!! GDI (საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. თავმჯდომარეები სხვადასხვა დროს: გიორგი მშვენიერაძე, გიორგი ტუღუში, ახლა: ედუარდ მარიკაშვილი), მე, პირადად, თქვენ გამარჯვებას არასდროს გეტყვით!!! ხოლო ამ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, ჩემი ეროვნული და რელიგიური გრძნობების**




**შეურაცხყოფის სიმბოლოდ იქცა, სამწუხაროდ... არადა, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეებზე როგორ პატივს ვცემდი, ეეეხ!**

**აბა, ულტრა-ფსევდო და ვაი-ლიბერალო ოპოზიციონერო პოლიტიკოსებო, ვაი-ლიბერალურ ტრენდს არ ჩამორჩეთ და თან ჭამეთ ერთმანეთი! აიტაცეთ ეს სიხარულიც; ევროსასამართლოს „უზენაესი“ და „უსპეტაკესი“ გადაწყვეტილების სულისკვეთებით, თქვენს დროშებს იქნებ ეს პრეზერვატივებიც მიამაგროთ, შეურაცხყოფილი მართლმადიდებლების და ქართველების მეტი ხმების მისაღებად!**

**ეს რჩევაც ჩემი გამოხატვის დიიიიიიდი თავისუფლებაა!!!!“ —** წერს მაია ნიკოლეიშვილი.

ცნობისთვის, „აიისას“ დამფუძნებლის ანანია გაჩეჩილაძის ინტერესებს სტრასბურგის სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI) იცავდა.

# ამოღებულია დიდი ოდენობით კოკაინი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული ა.გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავა, — ამის შესახებ ინფორმაციას შს სამინისტრო ავრცელებს.**

უწყების ცნობით, დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ა.გ.-ს კუთვნილი ბარგისა და ხელბარგის შემოწმების შედეგად, სამგზავრო ჩანთაში, წინასწარ მოწყობილ სამალავში დაახლოებით 2 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ალმოაჩინეს.

# საზღვრის „გადაკვეთაც“ ამას ჰქვია!..

**სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობისა და სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე, თურქეთისა და უზბეკეთის რესპუბლიკების მოქალაქეები დააკავეს,** — ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

**„გამოძიებამ დაადგინა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ე.თ.-ს განზრახული ჰქონდა საქართველოში მყოფი მიგრანტის, უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე ი.ი-ს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა თურქეთის მიმართულებით. განზრახვის აღსრულების მიზნით, ე.თ.-მ თავისი მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომანქანის მისაბმელის უკანა ნაწილში, საბურავების ღერძსა და ჩარჩოს შორის მოათავსა ი.ი., რამაც მიგრანტის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნა“,** — აცხადებენ შსს-ში. ორივე მათგანი იმ დროს დააკავეს, როცა ისინი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას საკონტროლო გამტარი პუნქტი „ვალეს“ გავლით ცდილობდნენ.

# გრიგოლ (გრიშა) ონიანი იუბილარია!



გამოჩენილ და გამორჩეულ პიროვნებას, ბატონ გრიშას — სულით-ხორცით ფოლადის კაცს, იოსებ სტალინის გენიის დამფასებელს და თაყვანისმცემელს, კაცობისა და ერთგულების სიმბოლოს, მკვლევარს, სვანეთის ბუმბერაზი და სუფთა მთების ანარეკლს, იმედისა და თანადგომის უნარით დაჯილდოებულ თანამემამულეს ვულოცავ 85 წლის იუბილეს და თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ!

სიყვარულითა და პატივისცემით
**თენგიზ ქავთარაძე**

# კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა

**26 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მთავარანგელოზ გაბრიელის კრებას.**

მთავარანგელოზი გაბრიელი წმინდა წერილში რამდენჯერმე იხსენიება, როგორც ზეციური მაცნე, რომელსაც ღმერთი აგზავნის, რათა ადამიანებს, კაცთა მოდგმის ხსნის შესახებ თავისი გეგმები აუწყოს. საგულისხმოა, ის რომ მთავარანგელოზი გაბრიელი რამდენჯერმე გამოეცხადა დანიელ წინასწარმეტყველს და მას მესიის მოსვლის, ანტიქრისტეს დევნისა და სოფლის აღსასრულის საიდუმლოებანი გაუმხილა.



ძე ღვთისას სოფლად მოსვლის წინ, მთავარანგელოზი გაბრიელი მღვდელ ზაქარიას ტაძარში გამოეცხადა და მას წინამორბედის (ნათლისმცემელი) საკვირველი ჩასახვის შესახებ აუწყა.

ეკლესიის ზოგიერთი მამის აზრით, მთავარანგელოზი გაბრიელი გეთსიმანიის ბაღში ლოცვისას, მაცხოვრის გასამხნევებლად იქნა გამოგზავნილი. შემდეგ კი ღვთისმშობელს მისი მიძინების დღე აუწყა. აი, რატომ უწოდებს ეკლესია საღმრთომსახურო წიგნებში მთავარანგელოზ გაბრიელს „სასწაულების მსახურს“.

ხატებზე მთავარანგელოზი, ზოგჯერ სამოთხის რტოთი (თეთრი ზამბახით) ხელში გამოიხატება, რომელიც გადმოცემის მიხედვით მან ქალწულ მარიამს ხარების დღეს მიართვა.

**გიული ლიპარტია**


## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**


# მინისტრი კოლხური კულტურის მუზეუმს სტუმრობდა

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი რეგიონებში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, სამინისტროს სსიპ საქართველოს ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელ გიორგი კალანდიასა და მის მოადგილეებთან ერთად ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმს ესტუმრა.**

მინისტრმა მუზეუმის მუდმივმოქმედი გამოფენა დაათვალიერა და ძველი კოლხეთის ტერიტორიების არქეოლოგიური შესწავლისას აღმოჩენილ და მოპოვებულ მასალას გაეცნო. თეა წულუკიანი მუზეუმის ხელმძღვანელ ელენე გაბლიანს შეხვდა და მუზეუმის წინაშე მდგარ გამოწვევებზე ესაუბრა. შეხვედრაზე იმსჯელეს მუზეუმის შენობის პრობლემის გადაჭრის გზებსა და მუზეუმის სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე. ასევე მინისტრმა მოინახულა ამავე მუზეუმის მეორე შენობა, ქალაქის ცენტრში არსებული ღირსშესანიშნავი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, პუბლიცისტის, დიდი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის კოშკი და მემორიალური მუზეუმი. მინისტრმა დაათვალიერა ნიკო ნიკოლაძის მიერ ქალაქში განხორციელებული პროექტების ექსპოზიცია და ხაზი გაუსვა ვიზიტის დროს ნანახი კულტურული მარშრუტებისა და სივრცეების პოპულარიზაციის აუცილებლობას.



**„აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძის კოშკი, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში იყო, 2016-2018 წლებში ფონდ „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით სრულად რეაბილიტირდა, რაზეც ნახევარ მილიონ ლარამდე დაიხარჯა. მათ შორის, ჩატარდა მუზეუმის ავეჯისა და ექსპონატების რესტავრაცია. ასევე ფრანგი სპეციალისტების ჩართულობით სრულად შეკეთდა და მოვიდა მოქმედებაში კოშკის უნიკალური საათი, რომელიც კოშკის ბოლო სართულზე მე-19 საუკუნის 90-იან წლებში დამონტაჟდა“,** — აცხადებენ კულტური სამინისტროში.

# დიდი კომპოზიტორის უკვდავსაყოფად

**კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე, კომიტეტის წევრებთან ერთად, ოპერისა და ბალეტის თეატრის 169-ე თეატრალური სეზონის დახურვას დაესწრო. ღონისძიება ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებლის, ქართველი კლასიკოსის, დირიჟორისა და პედაგოგის ზაქარია ფალიაშვილის 150 წლის იუბილეს მიეძღვნა.**



საიუბილეო საღამოზე კომპოზიტორის ცნობილი საოპერო ნაწარმოებებიდან ნაწყვეტები შესრულდა. ღონისძიებაში ოპერის თეატრის ყველა თაობის სოლისტები, ორკესტრი და სუხიშვილების ქართული ნაციონალური ბალეტი მონაწილეობდა. ასევე გაიმართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო კომპოზიტორის ფოტოები, თეატრალური აფიშები და კოსტიუმები.

**„XIX — XX საუკუნეებს თავისუფლად შეიძლება დაერქვას ქართული კულტურის რენესანსი, რაშიც მკაფიოდ გამოკვეთილი როლი მიუძღვის ზაქარია ფალიაშვილს. ის თავისი ნოვატორული ხედვით ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. ფალიაშვილს უკავშირდება ქართული მუსიკის პროფესიონალიზაცია და ეროვნული სტილის კლასიკური ნიმუშის შექმნა. მის ოპერებსა და ნაწარმოებებზე ქართველ მომღერალთა თაობები აღიზარდა და კვლავაც აღიზრდებიან,“** — აღნიშნა ელისო ბოლქვაძემ.

# ჰოლივუდის ვარსკვლავი საქართველოთი დაინტერესდა

ამერიკელი მსახიობი **ჯოზეფ გორდონ-ლევიტი** Facebook-ზე საქართველოს შესახებ წერს. ჰოლივუდის ვარსკვლავმა საკუთარ გვერდზე თბილისში გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა და შემდეგი წარწერა დაურთო: **„ვინმე თუ ცხოვრობთ საქართველოში? ახალი პროექტისთვის საქართველოში გადაღებულ ფოტოებს ვეძებ. იპოვეთ თქვენ მიერ გადაღებული სურათები, რომლებითაც ამაყობთ და აქ ატვირთეთ“,** — წერს მსახიობი. გორდონ-ლევიტი ცნობილია თავისი როლებით 2009 წლის დამოუკიდებელ ფილმში „ზაფხულის 500 დღე“ და კრისტოფერ ნოლანის სამეცნიერო ფანტასტიკაში „დასაწყისი“. ამ უკანასკნელისთვის ის ნომინირებული იყო „ოქროს გლობუსზე“.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 28 ივლისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.1000; ევრო - 3.6481;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2591;
100 რუბლი - 4.2138; თურქული ლირა - 0.3623;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8217;
1000 სომხური დრამი - 6.4174.

**ამინდი 26 ივლისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე | +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +14, | დღე | +35 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე | +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +16, | დღე | +35 |
| თბილისი: | ღამე | +22, | დღე | +35 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge